სპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 5 იანვარი 31 1899 წ. № 5

შინაარსი: მოსწავლე ქართველებს აზრი ქუთაისის და თფილისის ბანკების დამფუძნებელთა საწევრო ფულის მოხმარების შესახებ.—სხვა და-სხვა ამბები —„კვალის“ კორესპონდენციები.—საზღვარ-გარეთ.—გ. გაბაშვილის მხატვრობა გორისელისა.—წამებ, ლექსი დ. თომაშვილისა.—გაზ. „ივერია“ და მისი საპოლემიკო ხასიათი გ. წერეთლისა.—ჩვენი სახიობა X-ისა.—ქართული სიტყვა კაზმული მწერლობა 1898 წ. (გაგრძელება) ივ. გოძართელისა.—პირიმზე, რომანი (შემდეგი) გ. წერეთლისა.—უცხო სიტყვების ახსნა და განცხადებები.

რედაქციის ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც წინეთ რედაქცია იმყოფებოდა.

„ჯეჯილის“ რედაქცია უმორჩილესათ თხოვს გურია სამეგრელოს სამოსწავლო რჩევას, რომ რედაქციას შეატყობინოს 1896 წელს გამოწერილ „ჯეჯილის“ 18 ეკზემპლიარის ფული აქამდის რატომ არ გამოუგზავნია „ჯეჯილის“ რედაქციაში და ფულის თხოვნაზე პასუხიც არ ულირსებიათ.

მასწავლებელ ქალთა საზოგადოების სკოლაში (ნაგორნისა და გუდოვიჩის ქუჩების კუთხე, № 12), შეიძლება კიდევ მიღება ყმაწვილებისა, როგორც საზოგადოთ სკოლაში, აგრეთვე ქართულ და სომხურ განყოფილებებში. ფასი სწავლისა ამ უკანასკნელ განყოფილებებში არის თვეში 6 მან.

(5—1)

ქ. ქუთაისი

ექიმი ნ. გ. ჭიჭინაძე

იღებს ავათმყოფთ (ლევაშოვის ქუჩაზე, პეტრე ხარაზოვის სახლში, № 13) დილის 9—11 და საღამოს 4—6 საათამდის.

(10—1)



გ. გაბაშვილი.

მოსკოველი ქართველების აზრი ქუთაისის და თფილისის ბანკების დამფუძნებელთა საწევრო ფულის მოხმარების შესახებ. [1]

თავად-აზნაურობას ფრიად საყურადღებო კითხვა აქვს დღეს გადასაწყვეტი: რას მოეახმაროთ ის თანხა, რომელიც მთავრობის გადაწყვეტილების თანახმათ, ჩვენ შეგვეძლო ჩვენი ბანკებიდან გამოგვეტანა პირადი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ და რომელიც ჩვენივე სურვილით საზოგადო საქმისათვის უნდა იქნეს გადადებული? (როდესაც ამას ვამბობთ, ჩვენ ღრმათ დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ ფულს სხვა დანიშნულება არ მიეცემა). რომელი საზოგადო საქმე გახდება ასეთი დიდი შეწირულების ღირსი? რა არის ჩვენთვის დღეს უფრო სავალალო და საჭირო, რომელი მოთხოვნილების დაკმაყოფილება უფრო შეეფერება დღევანდელ ჩვენ ცხოვრებას, რა საზოგადო მოღვაწეობა უფრო კეთილ ნაყოფს გამოიღებს ამ ჩვენ ფერცვლილ ცხოვრებაში? ამ საკითხების გადასაწყვეტათ ირგვლივ უნდა მივიხედ-მოვიხედოთ, მკრთალათ მაინც წარმოვიდგინოთ ცხოვრების ნამდვილი ვითარება, მისი ფორმა, გავუშინჯოთ მაჯა, მთელი ორგანიზმი და შემდეგ შესაფერი წამალი მივაწოდოთ. რას წარმოადგენს დღევანდელი ჩვენი ცხოვრება, განსხვავდება იგი რითიმე გუშინდელისაგან თუ არა?

ყველას კარგათ მოეხსენება, თუ რა საჭირბოროტო კითხვაა ჩვენი მიწათმფლობელობისათვის სიმინდის, პურის, ღვინის, თამბაქოს და სხვა სამეურნეო ნაწარმოებთა ფასების აწევ-დაწევა. რამდენიმე ათი წლის წინათ ქართველისათვის სულ ერთი იყო, როგორ ფასობდა ამერიკაში სიმინდი. შეიძლება ბევრმა ამერიკის არსებობაც არ იცოდა, მხოლოთ დღეს ყველა კარგათ გრძნობს, რომ ჩვენებური სიმინდის ფასი დამოკიდებულია ამერიკის ბაზარზე. მაგრამ ამნაირი დამოკიდებულება განა მარტო სიმინდის შესახებ არსებობს? რა წარმოებაც უნდა ავიღოთ, ამნაირ კავშირს შევნიშნავთ. ავიღოთ თუნდაც ჭიათურის შავი-ქვა, რომლის წარმოების დაქვეითება ამ უკანასკნელ ხანებში უმეტესათ ევროპის ერების მეტოქეობამ გამოიწვია. აიღეთ თუნდა რომელიმე ნაწარმოები შინათ-მრეწველობისა: დარაია, შალი და სხ. მისთანები, ყველაფერს ჩვენებურს ფასს უკარგავს ევროპის ქვეყნების ამგვარივე ნაწარმოები. ყოველთვის და ყოველგან ჩვენ ვმარცხდებით და ეს საკვირველიც არ არის, თუმცა დაუმარცხებელ მებრძოლთა შთამომავალნი კი ვართ. წინანდელი იარაღი დღევანდელს ბრძოლაში გამოუდეგარია, ნაანდერძევ ფრანგულ (ხმალს) მხოლოთ სახსოვრათ თუ მივკიდებთ სადარბაზო ოთახში, ცხოვრებას კი ვერ გაგვიადვილებს. ჩვენი წინაპრისათვის ყიდვა გაყიდვა სრულიად საჭირო არ იყო; ყველაფერს ოჯახში იმზადებდენ, გადაღმა მხოლოთ სასეირნოთ და სასეიროთ თუ გადაბძანდებოდენ. დღეს კი სასმელ-საჭმელიდან მოკიდებული სახურავ-სამარხამდე ყველაფერი საყიდელი გვაქვს და გადაღმა გადაუსვლელათ ცხოვრების სახსარს ველარ ვპოულობთ: ვყიდით რაც მეტი (?) გვაქვს, ვყიდულობთ რაც გვაკლია, ე. ი. თითქმის ყველაფერს ვყიდულობთ, რადგან გარდა აქა-იქ დარჩენილ მიწა-წყლისა, გასაყიდი ბევრი არა გვაბადია. ვყიდით და ვზარალობთ. ან კი რა არის აქ საკვირველი? ჩვენში დღეს მიწას ისე იმუშავებენ, როგორც რამდენიმე საუკუნის წინეთ ევროპაში იმუშავებდენ. ის რაც, მაგ., ამერიკაში ერთი დღის და ერთი კაცის სამუშავარია, საქართველოში ათი დღის და ათი კაცის საქნარია. ჩვენ რომ ერთ ქცევაზე სიმინდის დათესა, მისი დამუშავება, მოწევა რამდენიმე მანათათ დაგვიჯდება, ამერიკელს გროშათაც არ უღირს, რადგან ცოდნა და ტეხნიკა უიაფებს მას ყველაფერს და, რა თქმა უნდა, რაც იაფათ გაუკეთებია, უფრო იაფათაც გაჰყიდის. ჩვენ კი იმავე ფასათ რომ ვყიდით ვზარალობთ. მაშასადამე, მათ რომ ბაზარზე გავუსწორდეთ, საჭიროა შევიძინოთ მათებური იარაღები და ამ იარაღების ხმარების ცოდნა; მისი სასარგებლოთ გამოყენება შევისწავლოთ. აი, სწორეთ ეს საწარმოო იარაღები იყო და არის ევროპის საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლის მიზეზი, მისი ნივთიერათ და გონებრივათ გამაუმჯობესებელი. და რადგანაც ჩვენი ცხოვრება ევროპისას თან-და-თან ემსგავსება დ̃ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა კიდევ უფრო გვაიძულებს დავემსგავსოთ მას და იმნაირივე საწარმოო ძალა ჩვენშიაც განვივითაროთ, ამიტომ ევროპის განათლების კარგი და ცუდი მხარეები ყველა კარზე გვიკაკუნებენ. კარები უნებურათ უნდა გავუღოთ, მხოლოთ უნდა ვეცადოთ მომზადებულნი დავხვდეთ ამ სტუმარს. რადგანაც ვხედავთ ჩვენი ცხოვრება ძველ ქერქს იძრობს და ახალში ეხვევა, ამიტომ გვეჭირვება იმისთანა პირები, რომელთაც ეს ახალი ცხოვრება ადგილობრივ, ევროპაში უნდა ექნესთ შესწავლილი, რომ ამ ცოდნით აღჭურვილებმა შესაფერი მოღვაწეობა გაუწიონ ჩვენს უექიმოთ დაგდებულს ავათმყოფ სამშობლოს. ეგებ ვინმემ გვიპასუხოს: ჩვენ უნივერსიტეტებიც საკმაო განათლებას გვაძლევენ და თუ რამე შეწირულებას გავიღებთ, ისევ რუსეთში მოსწავლეთ დავეხმაროთო. თქმა არ უნდა, ყველას დახმარება კარგი და პატიოსანია! მხოლოთ თუ მო-

---

[1] ამ ნომრისთვის მომზადებული მოწინავე წერილი ვერ გამოდის... რედ.

სწავლეთა დამხმარებელი ფონდისათვის რაიმე ნაწილი იქნება გადადებული ამ დიადი თანხიდან, მაშინ, უმჯობესი, უფრო სამართლიანი და დროს შესაფერი უნდა ავირჩიოთ. ამ შემთხვევაში ჩვენ საზღვარ-გარეთ სამეცადინოთ გასამგზავრებელ ახალგაზდებზე მიგითითებთ შემდეგი მოსაზრებით:

პირველი. რუსეთის ყველა უნივერსიტეტებში ქართველთა არამცირედი რიცხვი იმყოფება მაშინ როდესაც საზღვარ-გარეთ ერთი, ან ორი ახალგაზდა მშიერ-მწყურვალი ეტანება მეცნიერებას.

მეორე. რუსეთში ზოგიერთ უნივერსიტეტებში უმეტესობა უზრუნველ-ყოფილია ნივთიერი მხრით; მართალია ზოგიერთ უნივერსიტეტებში ბევრი ფრიად შეიწროებულ მდგომარეობაშია, მაგრამ თუ ავიღებთ რუსეთში მყოფ სტუდენტთა რიცხვს და მათ შორის გაჭირვებულთა პროცენტს ერთი მხრით და მოსწავლე ახალგაზდათა რაოდენობას ევროპაში და მათ ღარიბთა $^0/_0$-ს მეორე მხრით, უეჭველათ ცხადი იქნება მეორეთა უნუგეშო მდგომარეობა.

5--6 ახალგაზდათა შორის ორი თუ არის უზრუნველყოფილი.

მესამე რუსეთში მიმავალ ახალგაზდას ყველა სიამოვნებით უწვდის ხელს, მაშინ როდესაც ევროპისკენ გამგზავრება ხშირათ სეირნობათ და სალაღობოთ მიაჩნიათ და მათი უმრავლესობა ყოველსავე საზოგადოებრივ დახმარებას მოკლებულია. თვით რუსეთის მეცნიერნი და საზოგადო მოღვაწენი თავის მიუცილებელ სკოლათ ხადიან ევროპას, უთუოთ რამდენიმე წელი იქ უნდა დაჰყონ, რათა იქიდან თეორიული და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილნი თვის სამშობლოს ცნობიერი მოღვაწენი დაუბრუნდენ და ცხოველმყოფელი ძალა შეიტანონ სამშობლოს მიბნელებულ-მიდუნებულ კუთხეებში. ჩვენი ახალგაზდობა რუსეთში ამ მოტანილ მეცნიერებას ეტანება, ამ გადმონერგულ ვარდს ყნოსავს. ცხადია, ამნაირათ ნამდვილ ცოდნის შეძენა ფრიად ძნელია, რადგან ნამდვილ წყაროს ახალგაზდა დაშორებულია. ხშირათ თეორია პრაქტიკას არ ეთანხმება, სიტყვა მხოლოთ სიტყვათ რჩება და ის, რაც თვალსაჩინოა, ადვილი გასაგებია ევროპაში, სრულიად ბუნდოვანი და გამოურკვეველი რჩება აქ, რადგან არა დახელოვნებულ ოსტატთა მიერ გადმონერგილი ნიადაგს ველარ პოულობს. ბევრს ვერც წარმოუდგენია მწარე ნაღველი იმ ბედკრული ჭაბუკისა, რომელსაც მეცნიერების ალღო აუღია, მხოლოთ ძალა არ შეწევს მეცნიერების კერას დაუახლოვდეს, რათა თავის წმინდა მიზანს მიწვდეს. უნდა ნიჭიერ ახალგაზდას ბასრი იარაღით შეიარაღებული დაუბრუნდეს თავის სამშობლოს, რომ გულწრფელი, ენერგიული სამსახური გაუწიოს მას, მაგრამ ამაოთ, ეს სურვილები ფრთა-გაუშლელი უნდა ჩაიკლას გულში და უნებურათ მიეცეს საზოგადო მიმდინარეობას, ჩვეულებრივი მოსაქმე გახდეს, მხოლოთ თავისი თავის მოსამსახურე შეიქმნეს. ვინ იცის რამდენი ნიჭი და ძალა შექმნილა ამნაირათ მსხვერპლი ნივთიერი უღონობისა. ხშირათ ამის შედეგია, ბატონებო, ის საყვედურები, რომლითაც თქვენ მოგვმართავთ ხოლმე; სტუდენტები სანამ ხართ ბევრს ღაღადებთ საზოგადო საქმეებზე, აქ ჩამოხვალთ და მარტო თქვენი კერძო საქმეებისათვის ვარგიხართო.

მართლაც და განა გვყვანან ჩვენ დღეს საზოგადო მოღვაწენი, თუმცა საზოგადო საქმეები კი ბევრი გვაქვს და კიდე მეტს მოველით, მაგ. ერობა, ნაფიცი მსაჯულები და მრავალი სხვა ახალი დაწესებულებანი, რომელთაც სარგებლობის მოტანა მხოლოთ მომზადებულ ადამიანთა ხელში შეუძლიათ?!. ახლაც, როცა საზოგადო წარმომადგენელი ან რისამე შესაფერი გამგე-მმართველი დაგჭირდებათ, დიოგენის ფარნით დაეძებთ და ვერ შეჩერებულხართ დაბეჯითებით ეისიმე წინაშე, რომ გადაჭრით თქვათ: ეს კაცი ღირსია ამ საქმისო!.. ერთი-ორი თუ გვყვანან, ისინი ხომ უკვდავნი არ არიან, რომ სამაგიეროზე აღარ ეიზრუნოთ... აი, სწორეთ ამ წყლულის მალამო დღეს თქვენი ქველური გადაწყვეტილება შეიქნება, თუ კი რამდენიმე ნაწილს ამ მოსალოდნელი ფულიდან გადადებთ საზღვარ-გარეთ მოსწავლე ახალგაზდების გასამგზავრებლათ და შით ყოველ ოთხ-ხუთ წელიწადში 4—5 ნიჭიერს, მშრომელს და თანადგომულთ მომზადებულ ახალგაზდას შეძღვნით სამშობლოს. ამისათვის სხვათა შორის ესეც უნდა გახდეს დღეს ღირსი თქვენი ყურადღებისა, რადგან ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება კეთილზე უკეთილეს ნაყოფს გამოიღებს ჩვენ დღევანდელ ცხოვრებაში.

დარწმუნებული ვართ, რომ რუსეთში მყოფ მოსწავლეთა მიერ საზღვარ-გარეთისაკენ მითითება, რომელიც გულწრფელი რწმენისა და ქვეყნის სიკეთის სურვილის გარდა ვერაფრით აიხსნება, მიიპყრობს თქვენს ყურადღებას და შორიდან მოგზავნილი თანამემამულეთა მუდარის ხმა არ დარჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“...

სხვა-და-სხვა ამბავი.

ოფილისში არსდება ცალკე კომიტეტი მეურნეობის მინისტრის წარმომადგენელის მედვედიევის თავმჯდომარეობით, რომლის საგანია კავკასიის საშინაო მრეწველობის შესწავლა და ზომების მიღება მის გასაუმჯობესებლათ.

—

მთავარ-მართებლის განკარგულებით თფილისში არსდება სამი კომიტეტი იმის შესამუშავებლათ, თუ რა მონაწილეობა მიიღოს კავკასიამ პარიჟის მსოფლიო გამოფენაში. თითოეულ ამ კომიტეტს დაექვემდებარება წარმოების სამი დარგი: მეურნეობა, მრეწველობა და მთა-მადნების წარმოება. ამას უნდა მივუმატოთ ისიც, რომ ქართველ მემამულეთა შორის კაი ხანია კითხვაა აღძრული იმის შესახებ, რომ პარიჟის გამოფენაზე საქართველოს ნაწარმოებთა ცალკე განყოფილება გავმართოთო. კარგი იქნება ეს აზრი მარტო აზრათ არ დარჩებოდეს და განხორციელებასაც ეღირსებოდეს.

—

აზრათ აქვსთ კავკასიაში დააარსონ შუშის მკეთებელი სააქციონერო საზოგადოება. წესდება ამ საზოგადოებისა უკვე წარუდგენიათ სამინისტროში დასამტკიცებლათ.

—

აზრათ აქვსთ გააუქმონ ამიერ-კავკასიის სასტატისტიკო კომიტეტი და იმის ნაცვლათ დააარსონ კავკასიის ყოველ გუბერნიაში განსაკუთრებითი სასტატისტიკო კომიტეტი.

—

ერთი რუსული გაზეთის სიტყვით ქუთაისში არსდება ამხანაგობა, რომელსაც მიზნათ აქვს ქუთაისის გუბერნიის მთა-მადნების წარმოება, რისთვისაც ქუთაისში ლაბორატორიასაც აარსებს.

—

ამ მოკლე ხანში გაიმართება შავი-ზღვის პირის გუბერნიის მევენახეთა და მეღვინეთა საერთო კრება სხვა-და-სხვა საგნის შესახებ მოსალაპარაკებლათ.

—

მთავარ-მართებელმა აცნობა კავკასიის გუბერნატორებს, რომ სენატის გადაწყვეტილების ძალით, სოფლის საზოგადოებათ ნება არა აქვთ გააუქმონ ძველი „პრიგოვორი“ ერთი უწყების სკოლის შენახვის შესახებ და გააკეთონ ახალი „პრიგოვორი“ მეორე უწყების სკოლის შესანახათ.

—

3 თებერვლიდან ჭიათურის რკინის გზაზე ფუთი შავი-ქვის გადატანა ეღირება 7 კაპ. ნაცვლათ 10 კაპ.

—

გასულ შაბათს ჩვენ მოვისმინეთ ქ ბ-ნ განდეგილის მიერ ლექსათ ნათარგმნი „ვაი ჭკუისაგან“ და უნდა აღვიაროთ, რომ ეს თარგმანი დიდ განძათ ჩაითვლება ჩვენ ლიტერატურაში. ისეთი მკაფიო, ცოცხალი და მსუბუქი ენით გადმოთარგმნილი, როგორც განდეგილის თარგმანია, ჩვენ ლიტერატურაში მეორეც არ მოიპოვება. გრიბოედოვის თვით უძნელესი ადგილებიც ისე ნათლათ და სხარტათ არის გადმოცემული, რომ გეგონება ის თვით ავტორს დაუწერიაო. ქ-ბ-ნ განდეგილს ჩვენ ვურჩევთ ხელი მიჰყოს თარგმნას და უცხო პოეზიის შესანიშნავი ნაწარმოებნი ჩვენ მწერლობას შესძინოს.

—

19 თებერვალს ბაქოში გაიმართება ჩვეულებრივი ქართული საღამო „წ. კ. საზოგადოების“ და ბაქოს ქართული წიგნთ-საცავის სასარგებლოთ.

—

ხუთშაბათს 4 თებერვალს, ქართულ თეატრში დანიშნულია ჩვენი ნიჭიერი არტისტის გედევანოვის ბენეფისი, რომელსაც წელს ათი წელიწადი შეუსრულდა მას შემდეგ რაც სცენას ემსახურება. წარმოდგენილ იქნება კომედია „ჯან მეგობრებო“ სარდუსი და ბოლოს გაიმართება დივერტისმენტი.

—

სამშაბათს 2 თებერვალს, თფილისის სახალხო თეატრში გაიმართება ქართული წარმოდგენა. წარმოადგენენ კნ. ბ. ჯორჯაძის „რას ვეძებდი და რა ვპოვე“. დასაწყისი 7 საათზე.

—

რედაქციამ მიიღო წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა № 35 „საყმაწვილო მოთხრობანი“ ეკატერინე გაბაშვილისა. ამ წიგნში მოთავსებულია 16 მოთხრობა და ამ 16 მოთხრობაში გარდა ოთხისა ყველა გადმოსტამბულია „ჯეჯილიდან“. გვიკვირს, რომ ამ ღრმათ მოხუცებულმა საზოგადოებამ აქამდის არ იცის წესი, რომ უნდა მოეხსენებია ეს გარემოება.

—

ამ წლის „ჯეჯილის“ პირველი ნომერი დაიბეჭდა შემდეგი შინაარსით: ახალი წელიწადი; ლექსი—შ. მღვიმელისა, ჩაშხამებული ახალწელიწადი, მოთხრობა—ეკ. გაბაშვილისა, ზაქროს ნატვრა, ამბავი — ალ. ბარნოვისა, ნატვრა, ლექსი — დუტუ-მეგრელისა, მგლები, ნამდვილი ამბავი—თ. რაზიკაშვილისა, ტყის სურათები, ლექსი—შ. მღვიმელისა, როგორ მრავლდებიან ფრინველები—ილიკოსი, ძველი საბერძნეთი, ზღაპრული ამბავი – კოტესი, ახალი თეზეოსი (ფრანგულიდან) თარგ.—ეკ მ—სა, საკვირველებანი ბუნებისა № 21 ლელესუარი ლადო აღნიაშვილისა, არწივი—ალ. მ—შვილისა, წვრილმანი: ხალხური, აკროსტიხი, ანდაზები, გამოცანები, უჯრების ამოცანა, სათამაშო გამოცანა, რებუსი დ სხ.

ამასთანავე „ჯეჯილის“ რედაქცია აცნობებს ქართველ ოჯახებს, რომ მას ხელის მომწერი ჰყავს თფილისში 19 და ქალაქს გარეთ 72.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კვალის" კორესპონდენციები.

ბათომი. ამ ზამთარში ბათომს ეწვია მრავალი მუშა კაცი სოფლებიდან. იციან, რომ წინათ ბათომში აუარებელი სამუშავარი იშოვებოდა ამ დროს. წინეთ სოფლელი ცოტას მოიცლიდა თუ არა, ჩამოიდოდა ბათომში, ორ-სამ თვეს წაიმუშავებდა და ხელდაშვენებული გაუდგებოდა შინისკენ, სადაც აუარებელი მოთხოვნილება უნდოდა დაეკმაყოფილებინა. დღეს? დღეს კი ეს ყველა შეცვლილია, მუშა ხელი ორი-სამი თვეობით უცდის სამუშავარის შოვნას, არა თუ ხელათ ჩამოვიდეს და იშოვოს ისე, როგორც წინათ იყო. ამისთვის დღეს მათი უმეტესობა უსაქმოთ უვლის გარს ქარხნებს: იქნება გამიღიმოს ბედმა და მიმიღონო. ამ გვარათ მუშახელის გამრავლებამ ხელფასი დასცა, ხელფასის დაცემამ კი ყოველნაირათ დააქვეითა ისეც დაბეჩავებული მუშა. დღეს ბათომში 60 კ. იწყება დღიური მუშის ქირა და იშვიათათ 1 მ. აღის. უმეტესობას 70 კ. ეძლევა; ამასთანავე წარმოიდგინეთ ის სიძვირე, რაც ბათომშია, როგორც ბინის აგრეთვე საზრდოს მხრივაც და სრული ცნობა გექნებათ, თუ რამოდენათ გაჭირებული უნდა იყოს ბათომელი მუშა; ვთქვათ ესენი მიიღეს კიდეც ქარხანაში და გავყვეთ ჩვენც უკან. პირველ ორ სამ დღეს ხალისიანათ მუშაობს, რადგან არ იცის მისი მომავალი თუ რა იქნება ამ გვარი მუშაობით; შემდეგ გაიცნობს თუ არა სამუშავარს, კითხულობს, თუ თვეში რამდენი უნდა აიღოს ფული და რამდენი შეუძლია გადადვას იმ საჭიროებისათვის, რამაც აიძულა ასე მოსვლა. გაიგებს თუ არა აქაც უიმედობას; უკმაყოფილოთ ემორჩილება ბედს, (ან რა ღონე აქვ!, წინააღმდეგობის?!) ამ გვარათ მცირე ხელფასში, როგორც ბათომის ქარხნებია და აგრეთვე მოიჯარადრესთანაც, სადაც გემები იტვირთება ნავთიანი იაშიკებით და ფიცრით დატვირთულ გემებს ცლიან კიდეც, იქაურმა მომუშავემ საზრდო და ბინა იაფ-ფასიანი უნდა იშოვოს, რასაც მოჰყვება ავათმყოფობა; ამ ბოლოს დროს ხომ უმეტესობა დიდ განსაცდელში არიან ჩაცვინულნი.

ბათომში თორმეტამდე ნავთის ქარხანაა, მხოლოთ უფრო მეტი მუშები, ამ დროებით როტშილდის, მანთაშოვის, ცოვიანოვის და ხაჩატურიანცის ქარხნებშია, ამათში მარტო როტშილდის ქარხანაა ავათმყოფობის დროს, ცოტათი მაინც ხელ-მისაწვდენი, მუშა ხალხისათვის. იქ აქვთ აფთიაქი, ჰყავთ მუდმივი ფერშალი და კვირაში სამჯერ უფროსი ექიმიც მოდის მუშების გასაშინჯათ. შეიძლება სახლშიაც მოწვევა ავათმყოფ მუშასთან ქარხნის ფერშლისა და დანიშნულ დროზე ექიმისასაც, თუმცა ეს კი იშვიათი მოვლენაა. როტშილდს შემდეგ მეორე ალაგი ქარხნის სიდიდით და მუშების სიმრავლით მანთაშოვს უჭირავს, აქ კი ფერშალს და ექიმს ძლიერ იშვიათათ ნახავთ, აფთიაქის დანიშნულებას ერთი ფიცრული შენობა ასრულებს, მხოლოთ არავითარი წამალი არ არის შიგ, გარდა „იოდოფორმისა" და ამ დანიშნულებას გარდა ეს შენობა „ყარაულის" თავშესაფარიც არის. ყოველ უბედურ შემთხვევის დროს რაც ხშირათ ხდება ქარხნებში (მუშის ხელის მოჭრაა თუ სხვა რამე), ფერშალი ტელეფონით უნდა მოიწვიონ ბაზრიდან, სანამ ის მოვიდოდეს, მანამდე რომელიმე ნოქარი ფერშლობს; ხშირათ მოხდება, რომ ფერშალი არ იქნება სახლში, ან ფაეტონი ვერ იშოვა დროზე, მაშინ კი უნდა მოუცადონ სანამ მოვიდოდეს, თუ გინდ ორი-სამი საათიც დააგვიანდეს, ამ დროს განმავლობაში კი საწყალი მუშა სისხლიდან იცლება. თუ მანთაშოვის ქარხანა ამ მხრივ არის შესანიშნავი, ამას არც წოვიანოვის და ხაჩატურიანცისა ჩამოუვარდება, იქ აღარც ასეთი მოწყობილებაა.

დასასრულ, საჭიროა მეტი ყურადღების მიქცევა ამ ქარხნებზე ვისგანაც ეს რიგია. მართალია ახლაც აქცევენ ყურადღებას, კანტროლს უშვრებიან, მარა ისე რომ წინდაწინ აცხადებენ: ხვალ ესა და ეს ქარხანა უნდა დავათვალიეროთო და ამ გვარათ გაფრთხილებული მექარხნე ხელათ ასუფთავებს და ამზადებს, ყველაფერს ქარხანაში და თვალს უხვევს მყვირალა „კონტროლს". იმედია ერთი ორი უკვე მომხდარი უბედურება მას გამოცდილებას შეძენს და მით ცოტათი მაინც შეუმსუბუქებს ტვირთს დაბეჩავებულ მუშა ხალხს.

ყველა ამაებს შემდეგ, მაგონდება ბ. გეინეს სიტყვები: „ავათმყოფნი უფრო გულ-კეთილნი არიან: ტანჯვა უფრო აადამიანებს იმათ".

გ—ი—ც—ი.

—

სოფ. საჯილავო. ამ სოფლის მკვიდრთ შეადგენს ორი სხვა და-სხვა წოდება: გლეხი და აზნაური. რომ ცოტათი მაინც გაიგოს მკითხველმა ამ ორი წოდების წარსული და აწმყო, საჭიროა გავაცნოთ ამ სოფ. ისტორიული მსვლელობა: ბატონ-ყმობის დროს ეს ორი წოდება ძალიან დაშორებული იყო ერთმანეთზე. უმეტესი ნაწილი გლეხებისა შეადგენდა აზნაურების ყმებს, რომელნიც, რასაკვირველია, არავითარ შევიწროვებას არ აკლებდენ. მათ აზნაურებს მეგრელიის თავადისაგან ჰქონდათ ნაბოძები ბევრი ადგილ-მამული, რის დასამუშავებლათაც საჭირო იყო ბევრი მუშა ხელი, ამიტომაც თავადმა ამ სოფლის მკვიდრნი იმათ აჩუქა. ესენი გახდენ, ზოგი მიწის მუშათ,

ზოგი მეძალლეთ, ზოგი მელოჩეთ, ზოგიც კიდევ უარესი საქმის ამსრულებლათ და ყოველი ღონისძიება იყო მიმართული იმაზე, რომ ეს წოდება დარჩენილიყო მუდამ იმათ ცხოვრების იარაღათ. ისინი იმ დროს გლეხში არ ხედავდენ არავითარ კაცობრიულ გრძნობას (უმეტესი ნაწილი მათი ახლაც იმ აზრისა არის, რომ გლეხი სულ სხვა აგებულობის და გრძნობის არის ვინემ თავად-აზნაური. საქმე იქამდის მივიდა, რომ გლეხის შვილებს ბატონის გათხოვილ ქალებს მზითევათ ატანდენ. მაგრამ როცა ეს ნეტარი დრო ხელიდან გამოეცალათ, დადგა მათთვის საშინელი კრიზისი. უშრომობას დაჩვეულნი, ვერ შეურიგდენ შრომას და ცხოვრება კი თავისას თხოულობდა. პირველათ რომ არ დატყობოდათ მუქთა ხელის უქონლობა, იწყეს მუშაობა ნაქირავები კაცებით, ამას თან მოჰყვა ვალის აღება და ვალს კი— ადგილ-მამულის ბანკში დაგირავება, რის შედეგიც არის დღეს ის, რომ, ვერც ერთმა მათგანმა ბანკიდან ადგილი ვერ დაიხსნა და იქმნა გაყიდული ბანკის სასარგებლოთ. ეს ბრწყინვალე წოდება (გვარათ კორძაიები) დაადგა რა გადაშენების გზას, არას გზით არ მოხერხდა იმათი იქიდან გადაყენება და ვისაც უწინ იმათი სასახლე და ცხოვრება უნახავს, დღეს თვალ წინ დაესურათება მხოლოთ ნაშთი. შიგ მცხოვრები, ტარიელები, თუმცა უწინ თავზარს ცემდა თავის ბოხის ხმით არა თავის მზგავსს (დაბალ-წოდებას), ახლა დამალულან და სახლიდან გამოსვლისაც ეშინიათ, ვაი თუ გლეხმა შეურაცხყოფა მიაყენოს ჩვენ მაღალ-კეთილ-შობილებასო. (სწორეთ ახლა კი ასრულდა მოლა მასრადინას სიტყვები: ვისაც ჩემი ახალგაზდობა არ უნახავს, ჩემი სიბერე ღმერთმა ნუ აჩვენოსო). საკვირველია ის გარემოება, რომ ბრწყინვალე კლასებში სხვაგან ხშირათ გამოერევა მოწინააღმდეგე მათი ძველი უპირატესობის და პარაზიტობისა, მაგრამ ჩვენ აზნაურებს ამისთანა პირი ჯერ არ დაბადებიათ.

ახლა გადავხედოთ გლეხების ცხოვრებას. ესენი განთავისუფლდენ თუ არა აზნაურების დესპოტიზმისაგან, მაშინვე მიჰყვეს ხელი თავის სასარგებლოთ შრომას. გლეხმა მალე შეიგნო თავისუფლების მნიშვნელობა და არავითარ ღონის-ძიებას არ აკლებს, რომ რამე ნაირათ წინ წავიდეს მატერიალური მხრით. დღეს რომ იმათ ეზოში გაიაროთ, გაგიკვირდებათ, ისე კოხტათ არიან მოწყობილი (სხვა სოფლებზე შედარებით). როგორც დანარჩენი სოფლები იმერეთისა, ეს სოფელიც განთქმულია მკლავაძეებით. სწავლა-განათლებაზე ხომ არავინ არ ფიქრობს; აქ არსებობს ოთხ-განყოფილებიანი სამინისტრო სკოლა. ყოველ სექტემბერში სასწავლებელში ტევა არ არის, მაგრამ სწავლის დასრულება 20% არ შეუძლიათ. რატომ? თუ მატერიალურათ კარგათ არიან, მაშ რაღა უშლის სწავლის გაგრძობასო იკითხავთ. კიდეც ეს არის, რომ მატერიალიზმი შეიქნა იმათთვის თავი სახსარი ცხოვრებისა და ამიტომ სწავლასაც მეტ-ბარგათ უყურებენ. ყმაწვილმა ერთი ან ორი წელი თუ იარა სკოლაში, მერე სწავლას თავს ანებებს და ხერხის ზავოდში მირბის სამუშაოთ. რამდენათ ეს სოფელი სწავლა-განათლებით უკან არის ჩამორჩენილი, ამას ამტკიცებს ის ფაქტი, რომ 1884 წ. ამ სოფ. სკოლაში თვით ამავე მასწავლებლის ი. კაპანაძის მეცადინობით დაარსდა ბიბლიოთეკა; დღეს კი იმისი სახსენებელიც არ არის და ბევრმა არც კი იცის, იყო თუ არა აქ ამისთანა რამე.

ამ სოფლის ეკონომიური ზრდა წინ წასწია ბ. სერებრიაკოვის ხერხის მანქანამ, რომელიც არსებობს 1898 წლიდან. მეტი არ იქნება ამ ქარხნის ავკარგი მკითხველს გავუზიაროთ. ბ სერებრიაკოვმა დააარსა თუ არა აქ ხერხის მანქანა, სოფლათ გავარდა ხმა, რომ აწი ამ სოფელს აღარ უნდა სხვა სახსარი ცხოვრებისა, რადგან ქარხანას შეუძლია დააკმაყოფილოს ყველა მისი მოთხოვნილებაო. ბევრმა სიმინდის მოყვანასაც თავი დაანებეს და ხახა გაღებულნი შეყურებდენ მას, აი ეს არის გამდიდრდებითო. მაგრამ იმედისა და სინამდვილეს შუა დიდი მანძილი იყო.

ატ—ტი.

საზღვარ-გარეთ

ინგლისი. ამ თვეში დაიბეჭდა „ტრად-იუნიონთა საზოგადოების მეათე წლიური ანგარიში“, საიდანაც ვტყობულობთ შემდეგს: 1897 წ. ამ მუშათა საზოგადოებების რიცხვი ყოფილა 1287 ð ჰყოლია 1,609,909 წევრი. ამათში 93 პროცენტი მამა-კაცია, ხოლო დანარჩენი დედა-კაცი. ტრადუნიონთა რიცხვი თან-და-თან მატულობს, თუმცა ჯერ კიდევ შორს არის ის, რომ მუშათა უმრავლესობა შეერთებულ ორგანიზაციას წარმოადგენდეს. მაგ. 1892 წლიდან მათ მომატებიათ 109,458 წევრი. უძველესი ორგანიზაცია 35 წლისაა, ხოლო უახლესი 19 წლისა. ას უძველეს ორგანიზაციას 1892 წელს ჰქონებია 14 მილიონ ნახევრამდის შემოსავალი (14,558,850 მან.), გასავალი კი ცოტა ნაკლები, ხოლო ხელ-უხლებელ ფონდათ კი 16 მილიონზე მეტი (16,187,900 მ.) და ყველა ეს 903,981 წევრს. 1897 წ. წევრთა რიცხვი ასულა 1,059, 609, შემოსავალი გამხდარა ოც მილიონამდე (19,819,710 მ.)—გასავალი ორი მილიონით ნა-

კლები, ხელ-უხლებელი ფონდი ოცდა ორ მილიონს გადაცილებია (22,736,190 მ.). ექვსი წლის განმავლობაში (1892—97 წ.) სულ დაუხარჯავთ 92 მილიონ მანეთზე მეტი. ამათში, 22 მილიონამდის დახარჯულა გაფიცვაზე, 54 მილიონ ნახევარი უსაქმოთ დარჩენილთა და სხვაგვარ შესაწევნელათ, ხოლო დანარჩენი გამგეობაზე. საიდან დგება ამდენი შემოსავალი? ეს დგება საწევრო ფულისაგან. მაგ. 1897 წ. თითო წევრს შემოუტანია არა ნაკლებ ერთი თუმნისა, ხოლო ორი და მეტი თუმნის შემოტანაც ძალიან ხშირია. ექვსი წლის განმავლობაში წევრს წლიწადში საშუალო რიცხვით 15 მან. შეუტანია.

— ირლანდიაში, თანახმად ახალი კანონისა, მოხდა ადგილობრივ თვითმართველობათა წევრების არჩევანი. ორ ძველ პარტიას—უნიონისტებს (ინგლისის მომხრეებს) და ნაციონალისტებს მიემატა მესამეც—„შრომის პარტია“ და ასე ბრძოლა ატყდა სამ პარტიას შორის. ეს ბრძოლა შესანიშნავია იმით, რომ ირლანდიის მუშა-ხალხი პირველათ გამოვიდა საარჩევნო ასპარეზზე და „ტაიმსის“ სიტყვით სრული გამარჯვებაც ირგუნა. დუბლინის (დედა-ქალაქია) არჩევნებზე პირველმა პარტიამ დაჰკარგა ხუთი ადგილი, მეორემ ექვსი, ხოლო მესამემ მოიგო თერთმეტი. ლიმერიკის პროვინციაში 40 არჩეულთა შორის 25 შრომის პარტიისაა. ქ. კორკის საბჭოში ახლათ შევიდა ცხრა მუშათა წარმომადგენელი. ჯერ ყველა მაზრაში არ მომხდარა არჩევნები, მარა სადაც მოხდა თითქმის ყველგან საშინლათ დამარცხდენ უნიონისტები, შეფერხდენ ნაციონალისტები და წინ წამოდგენ მუშები. ბრძოლა გამწვავდა განსაკუთრებით დუბლინში. ნაციონალისტთა ცნობილი მეთაური, დეპუტატი ჰარინგტონი, და ქალაქის მოურავი დამარცხდენ მუშათა პარტიის მიერ. ბევრი გავლენიანი მოღვაწეები გახდენ იძულებული საზოგადო სარბიელი ამ ახალ ძალისთვის დაეთმოთ. ინგლისის პრესსა ერთიანათ აყაყანა ამ გარემოებამ და ამბობს: პროლეტარიატის გამარჯვებას ისევ ნაციონალისტთა გამარჯვება ჯობდაო...

საფრანგეთი. ინგლის-საფრანგეთის უთანხმოების გამო პარიჟის შეერთებულ სოციალისტთა ჯგუფებმა ინგლისის მუშა-ხალხს მანიფესტით მიმართეს, სადაც კიცხავენ ორივე ქვეყნის გაბატონებულ კლასებს და ასე ათავებენ: ომიანობა—ეს მათი ინტერესია, მშვიდობიანობა—ეს ჩვენი ინტერესია, ბრძოლის ველზე ჩვენ ვღვრით სისხლს, ისინი კი შინ სხედან, ომით გამოწვეული სარგებლობა მათია,-ზარალი კი ჩვენი. მაშ გაუმარჯოს ხალხთა შორის მშვიდობიანობასო. ამ აზრის გასავრცელებლათ 24 თებერვალს ლონდონის ჰაიდ-პარკში დანიშნულია დიდი მიტინგი, რომელსაც დაესწრება ჟორესი, როგორც წარმომადგენელი საფრანგეთის სოციალისტთა პარტიისა.

— დრეიფუსის საქმე ყველას მოწყინდა, ყველას თავი მოაძულა და მისი დაბოლოვება მაინც არ მოეწყო. მას ჩაფრენიან ფრანგები და ზოგი ალმა სწევს, ზოგი დაღმა, ხოლო ყველა კი ერთ ალაგას აჩერებს და ამაგრებს. ამ საქმემ თუ ასე იარა, ვეჭვობთ, რომ წელსაც გადაწყდეს.

გერმანია. მაშინ როდესაც ნემეცებმა პოზნანში ვერაფერი გააწყვეს პოლონელთა გასაგერმანელებლათ, რაც უფრო შეავიწროვეს ესენი მით უფრო გამრავლდენ და გაძლიერდენ, შლეზვიგ-ჰოლშტაინში სულ სხვა დაატრიალეს. აქაური დანიელები ვერ უძლებენ ნემეცთა მშვიდობიან კონკურენციას შრომის და მოქალაქეობის ნიადაგზე და რიცხვით თან-და-თან კლებულობენ. მაგ. 1858 წ. მათი რიცხვი ყოფილა 140,950 სული, ხოლო 1890 წ.—134,064. გამრავლების მაგიერ დაკლებულა. სად წავიდა ხალხი? სად და ზოგი შიგ გერმანიაში გადასახლდა და იქ ეროვნულათ გაილესა, უმრავლესობა კი ისევ დანიაში წავიდა, სადაც ყოველივე დახმარებას და შეღავათს აძლევენ. ჩვენ გვგონია, მათ რომ გვერდში დანია არ ჰქონებოდა ამოჭიმული, ისინი თავისივე პროვინციაში შეეცდებოდენ გამძლავრებას და ცხოვრების მკვიდრ ნიადაგზე დაყენებას. პოზნანის პოლონელთა გამძლავრებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ სხვაგან არსად მოელოდენ დიდ შეღავათებს და ისევ შინ ცხოვრებას რჩეობდენ.

— ამ ჟამათ პრუსიის მთავრობამ შეიმუშავა კანონ-პროექტი სახალხო მასწავლებელთა ქვრივობლების პენსიის შესახებ და დეპუტატთა საკრებულოს გადასცა განსახილველათ. ამ პროექტის ძალით: მასწავლებლის ქვრივს, ორთა შუა რიცხვით, მიეცემა 625 მარკა (ერთი მარკა=45 კაპ.) წლიწადში, ანუ 375 მარკით მეტი ვინემ ახლა ეძლევა; მასწავლებლის ობოლს, რომელსაც დედაც ჰყავს, მიეცემა 94 მარ. ანუ 50 მარკით მეტი ვინემ ახლა ეძლევა, ხოლო უდედოს მიეცემა 144 მარ. ქალაქებში პენსია მეტია, სოფლებში კი ნაკლები. ამ ფულის ერთ ნაწილს—უმცირესს—იძლევა ხაზინა, მეორე ნაწილს საზოგადოება. ხაზინა ეწევა ამ საქმეში მხოლოთ სოფლის საზოგადოებას, ქალაქისას კი არა, თქვენ მაინც მდიდარი ხართ და თქვენივე ხარჯით მოაწყვეთო. მოსალოდნელია დეპუტატები ამ უკანასკნელ პარაგრაფს შეცვლიან და დანარჩენს დაამტკიცებენ. კანონი ძალაში შევა 1900 წლის პირველი აპრილიდან.

— გასულ წელს მთელ გერმანიაში ასოთ-ამ-



აკვანი (გ. გაბაშვილის მხატვრობიდან).

წყობთა დიდი მოძრაობა იყო. იმათ შეიმუშავეს დღის ქირის საერთო რაოდენობა და მოითხოვეს ალებისაგან მისი მიღება. წელს ამ მოძრაობის ანგარიში გამოვიდა, საიდანაც ვტყობულობთ შემდეგს: ასოთამწყობთა მოთხოვნილება პირველათვე მიიღო 2030 ფირმამ, ეს რიცხვი წლის გასულს ავიდა 2674 ზე, რომელნიც 25732 მთავარ ასოთ-ამწყობთ ამუშავებენ. 539 ფირმას თავისი მუშათა რიცხვი არ მოუცია. ამ თვის 16 მოხდა ფირმების და ასოთ-ამწყობების საერთო მოლაპარაკება საერთო ქირის შემოღების შესახებ მთელ გერმანიაში.

— გერმანიაში წარსული წლის ნოემბრის თვეში მომხდარა 40 გაფიცვა, დეკემბერში კი მხოლოთ 19.

ბელგია. სამინისტროს ორმა წევრმა სამსახურს თავი დაანებეს. ეს თავის თავათ დიდ მოვლენას არ წარმოადგენს, მაგრამ ახლა გამოჩნდა მიზეზი მათი გასვლისა, რაც დიდათ საგულისხმიეროა ბელგიისათვის. ამ ჟამათ ბელგიის სამი პარტია—სოციალისტიური, რადიკალ-ლიბერალური და ქრისტიან-დემოკრატიული—შეერთდენ საერთო და თანასწორი კენჭის ყრის უფლების მოსაპოვებლათ. თუ ამ მიზანს მიაღწიეს, მოსალოდნელია რომ მომავალ არჩევნებზე სოციალისტები ან და სოციალისტ-რადიკალები გაიმარჯვებენ და პარლამენტის უმრავლესობათ გადაიქცევიან. მეფე ეს 30 წელიწადია პოლიტიკაში



ებრაელი (გ. გაბაშვილის მხატვრობიდან).

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ჩარეულა და არც პარტიათა ბრძოლაში მიუღია მონაწილეობა, როგორც ამას კონსტიტუცია ავალებს. მაგრამ ახლა სოციალისტთა შიშით, გამოვიდა თავისი ნეიტრალური მდგომარეობისაგან და ის ორი ლიბერალი მინისტრი, მომხრე საყოველთაო კენჭის ყრისა, სამსახურიდან დაითხოვა. ეს პირველი მაგალითია ბელგიაში და რადიკალური პარტიებიც აცხადებენ: ამიერიდან ბრძოლა ჩვენ და მეფეს შორის იწყებაო...

ბაზარი. ამ ჟამათ ფუთი ჩვენებური სიმინდისა ლონდონში ღირს 67 კაპ. აბრეშუმის მოთხოვნილება ლიონში დიდია. ფაბრიკებს დიდძალი „ზაკაზები“ მოსვლიათ და თუ პარკი კიდევ იყო სადმე გაუყიდავი დიდ ფასში გაიყიდება.

გ. გაბაშვილის მხატვრობის გამოფენა.

ამ მოკლე ხანში გ. გაბაშვილის მხატვრობის გამოფენა ყველაზე უფრო შესანიშნავ მოვლენას შეადგენს თფილისში. ამ გამოფენამ უცებ აამაღლა ჩვენი ქართველი მხატვრის სახელი. პირველივე ნახვა მისი მხატვრობისა, ვისაც კი ოდნათ მაინც ესმის, რასში მდგომარეობს ამა თუ იმ მხატვრობის ღირსება, ცოტა არ იყოს, განცვიფრებაში მოიყვანს მის, უნებურათ ეკითხები შენ თავს, ნუ თუ ქართველებში შესაძლებელია, რომ ასეთი ნიჭი განვითარდეს და, თუ განვითარდა, რატომ აქამდის არ შეგვინიშნავსო. მართლაც, რომ ასეთი კითხვები სწორეთ დახასიათებაა ახლანდელი ყოველიფრით ღარიბი ქართველი საზოგადოებისა, რომლისთვისაც ასეთი ნიჭიერება მეტ ბარგს შეადგენს და იმის იმედათ თუ დარჩა, ვერც გაიტანს თავს. დღეს ჩვენ ჟურნალ-გაზეთებს ენაზე აკერია გ. გაბაშვილის მხატვრობის სჯა: ზოგი გამომეტყველებას უწუნებს, ზოგი პეიზაჟის უხეირხულობას, ზოგიც ასე ამბობს, ყოველიფერი ნამდვილათ არის გამოყვანილი, მაგრამ მის მხატვრობას იდეა აკლიაო. საზოგადოთ ვერავინ ვერ იუწყებს იმ ცხოველმყოფელ შთაბეჭდილებას, რომელიც მოუხდენია მაზე გ. გაბაშვილის მხატვრობას; ხოლო ეს უკანასკნელი თვისება მხატვრისა კი უტყუარი საბუთია მისი ნიჭის და ხელოვანობისა.

ყოველ კაცს პირველ ნახვაზე გაბაშვილის მხატვრობა აკვირვებს ფერადების სიცხოველით, სურათების სიცოცხლით და ტიპიური შთაბეჭდილებით. მისი რომელიმე სურათი, ან მთელი გრუპა, მაშინვე იწვევს მნახველის წარმოდგენაში ათას ნაირ მოგონებას და სანახაობას, რომელიც მას თავის ცხოვრებაში უნახავს და გამოუცდია. ეს თვისება მხატვრისა პირველი მისი დამამტკიცებელი საბუთია, რომ იგი ეკუთვნის რეალურ შკოლას, ყოველივე მისგან გამოხატული სურათი ცხოვრების სინამდვილით არის ალბეჭდილი. და რადგან თვით ცხოვრება და მისი მოვლენა იგივე აზრი და იდეა არის, მაშ რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმ მოკრიტიკის დაფასებას, რომელიც ამტკიცებს, რომ გაბაშვილის მხატვრობა, მართალია, ცხოვრების სინამდვილით არის ალბეჭდილი, მაგრამ იდეა აკლიაო. ცხადია, რომ მოკრიტიკე ან სუსტობს ხელოვნების ცოდნაში, ან და მხატვრობაში მის სატრფიალო ტენდენციას ეძებს. ის კი არ იცის, რომ გ. გაბაშვილის მხატვრობის ღირსება კიდევ იმითია უფრო ამაღლებული, რომ ეს ესრეთ წოდებული ტენდენცია იქ არ არის, როგორც იგი არ არის არც შექსპირის თხზულებაში, არც ბალზაკისაში, არც რუბენსისაში და არც რაფაელისაში. ისინი თავისი მაღალი ხელოვნებით, ვით სარკეში, ჩაგახედვებენ ხოლმე ბუნებაში და ეს თქვენი საქმეა, როგორიც გიამებათ და მოგწონსთ, ისეთი აზრი იპოვოთ შიგ.

გ. გაბაშვილის მხატვრობა არის ჟანრის მხატვრობა. იგი ეძებს ბუნებაში კაცს, ანუ კაცთა გროვას მისი ჭირვარამით, დაუცხრომელი მოძრაობით, ლტოლვილებით, მისი მწუხარებით, უბედური შემთხვევით, სიხარულით და ცხოვრების სიტკბოებით. ამ შემთხვევაში მისი ასპარეზი ვრცელია და იმდენი ნიჭიც ეტყობა მის ნაწარმოებს, რომ მას შეუძლია შექმნას მთელი ეპოქა მხატვრობაში, ესე იგი ზედმიწევნით დაახასიათოს თავისი თანამედროვე ცხოვრების ვითარება.

პირველმა მისმა სურათმა „საღამო ხევსურეთში“ თვალ წინ გამიცოცხლა საზოგადოთ ჩვენი კავკასიის მთიულეთი თიბათვეში და კერძოთ ჩემ მიერ ნახული წონის მიდამო. განსხვავება მხოლოთ ის არის მათ შორის, რომ იქ ხევსური მთიბავები მიისწრაფიან შინ საღამოს და წონის სათიბებიდან ერწოს ტბის გარშემო ოსები მთიბავები წავიდოდენ შინ მუშაობას შემდეგ მხარზე გადებული ცელებით. საზოგადოთ გ. გაბაშვილი საკვირველი ხელოვნებით ხატავს სხვა-და სხვა ნაირ განათებას, მზის შუქს და ამ ნიჭით იგი სულს უდგამს სხვა-და-სხვა მომენტში ჩადგმულ ბუნების სურათებს. გაბაშვილის მხატვრობას საკვირველი სიცოცხლე კიდევ მით ეტყობა, რომ იგი თავის დღეში სურათს უმოძრაოთ არ ხატავს, არამედ მისი სურათი უეჭველიათ ან სულიერ, ან ხორციელ მოძრაობაშია. მაგალითათ, შეხედეთ ქურთს, რომელიც ოქროს ფერ კვიცზე ზის და ჭაობის კალმებში მოაჭენებს ცხენს, თითქოს მტრისგან გამოქცეულაო ან, აი, ეგერ ქართულათ თავ-

დახურული კოპწია მანდილოსანია, რომელიც ხელით დაირას დაყრდნობია და ისე ზის, თვალები განზე აქვს მიქცეული, თითქოს ტოლ-ამხანაგების თხოვნას ელის, აბა, ჩემო დაიკო, დაირა დაუკარიო. რამდენი სიცოცხლე და გამომეტყველებაა ამ მჯდომარე უძრავ სურათში! შევხედოთ ახლა შექალარებულ ქართველს, რომელიც ზის, თითქოს მართლაც უძრავათ არისო, მაგრამ, აბა, მის ირონიულათ გაპობილ ბაგეს შეხედეთ, რამდენი სიცოცხლეა მასში?—ის იმწუთას თითქოს სხვას დაცინის... ან მაგალითათ, აი, ლეკებს ქართველი მოუკლავთ, ყელი გამოუჭრიათ და სისხლი ღვარათ წამსკდარა. ოჰ, რა ტანჯვა ეტყობა მის თვალებ-დახურულ სახეს. შეხედეთ იმათ, ვინც ზედ წადგომიან. იმათაც თითქოს არ ჯერათ, რომ ყელგამოჭრილი კაცი ჯერ კიდევ მომკვდარიყოს; ერთ მათგანს მკვდრის ხელი აუღია, თითქოს მაჯას უშინჯავს, ფეთქს კიდევ, თუ არაო. აბა, ახლა, ამ ებრაელის ესკიზს შევხედოთ. ოჰ, რა შვენიერი ტიპია, თითქმის გაგონდება მისი სახე; ბევრგან გინახავს მაგისთანა ფულის ძოტრფიალე: გინდ ბერდიჩევში, გინდ ცხინვალში, გინდ ქარელში და გინდ საჩხერეშიაც. იმას ხელში ფულები უჭირავს, მეორე ხელის თითი ბაგეზე აქვს მიდებული, ძალიან საგონებელში ჩავარდნილა, ანგარიშში ფული აკლია, უნდა მოიგონოს და ვერ მოუგონებია, სად დაეხარჯა, ან სად გადაუყვა დანაკლისი. გ. გაბაშვილს, თითქოს თავისი ცოცხალი სამხატვრო ფოჩვით (КИСТЬ) თავი მოაქვსო, უფრო მოხუცებულების ტიპებს ჰხატავს, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, რამდენი სიცოცხლე და ჭაბუკობის ღონე აქვთ კიდევ ამ მოხუცებულებს, რამდენი მხნეობა და ცხოვრების სიტკბოების წადილი ულვივისთ მათ გადალაქლაქებულ პირის სახეებს. ესენი ყველანი თითქოს გვეცნაურებიან, მაგათებური კაცები თითქოს ყველას გვინახავს.

გ. გაბაშვილს ეს სიცოცხლის გამოხატვა კიდევ უფრო ეხერხება, როცა იგი რომელსამე გროვას და მთელ ხალხს გვიხატავს, როგორც მაგალითათ მისი „ხაუს-დივან-ბეგია“ ბუხარის ქვეყანაში, სადაც ხალხი მდინარის კიდეზე გამოფენილა, ნამაზს აკეთებს, ზოგნი კი ნავით გადად-გადმოდიან; გაღმა უზარმაზარი ხეები მოჩანან გაბუვალ ტყეში, გამოღმით პატივცემული ბუხარელები წყლის პირას ზიან და ყურს უგდებენ ხალხის ჟრიამულს. ისე ცოცხლათ არის ეს სურათი დახატული, რომ თითქოს ხალხის ჩოჩქოლი მოგესმისო. შევხედოთ ახლა სეიდაბადის ხევში მრეცხელებს. რამდენი სიცოცხლეა მათ რეცხვაში და მიმოძრაობაში. ერთ მრეცხელს თავისი საქმე გაუთავებია, ვირზე აუკიდია სარეცხი და ჭურჭელი. ეტყობა, საწყალ ვირს უჭირს ტვირთის ზიდვა, ცალი ყური უკან პატრონისკენ მიუპყრია და შიშობს, ვაითუ კიდევ რამე ამკიდოს ზურგზეო. რომელი ერთი მოვთვალოთ. მე განზრახ იმისთანა სურათებზე ვსჯი აქ, რომელნიც პუბლიკას უფრო ნაკლებათ შეუნიშნავს და დაუფასებია, გასაოცარი ცხოველ-მყოფელობა ეტყობა გ. გაბაშვილის შემოქმედებითს ნიჭს. მე დარწმუნებული ვარ, ეს ჩვენი ნიჭიერი მხატვარი კიდევ უფრო დიდ ყურადღებას დაიმსახურებდა, უცხო ქვეყანაში რომ გამოეფინა თავისი ნაწარმოები. ვურჩევთ ჩვენ შეძლებულ ქართველებს, დაეხმარონ ამ შესანიშნავ ახალგაზდა მხატვარს, რომ მან შეეძლოს მსოფლიო გამოფენაზე თავისი ნაწარმოების გატანა. ამითი არამც თუ ჩვენი ახალგაზდა მხატვრის ნიჭი დაფასდება, არამედ თვით ქართველებსაც მეტი პატივი დაედებათ უცხო ქვეყნელების თვალში.

გორისელი.

წამები.

ოდესაც ვზივარ ტანჯული,
ცხოვრებით განაწამები,
მაშინ საიდღანც იფეთქებს
სასიხარულო წამები!—
ის შორს გატყორცნის გულიდან
ამ შავ-ბნელ მაძა ფვალასსა
და შიგ აღმიგზნებს ციურ ალს,—
ამ სასიცოცხლო ძალასა!..
და მაშინ ვხარობ სულითა
გრძნობებით ამაღლებული,
გულს მპარავს ტკბილი ოცნება,
შუქ-ნათლათ განახლებული...
და მაშინ ვეტრფი ბუნებას,
ვეტრფი ვარსკვლავების საბუდრს,
კიდეც რომ იგი სატანამ
გამიჭკნოს, გამიბედოს!...
თვალებში ცრემლი მადგება
სიამით დასანამები...
ოჰ, ღმერთო, ხშირათ მაღირსე
ტანჯულს ამ გვარი წამები!...

დ. თომაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ,,ივერია'' და მისი საპოლემიკო ხასიათი.

„Თუ გინდა შეიტყო ქვეყნის ავან-ჩავანი, თვით მას ფესვში უნდა ჩაუკვირდეო" — თქვა რუსეთის მოლამასრადინმა, კუზმა პრუტკოვმა. მართლაც თუ გვინდა შევიტყოთ რა აჭირბოროტებს გაზ. „ივერიას", როდესაც ის გამოილაშქრებს ხოლმე „კვალზე" ერთობ უმართებულო პოლემიკის კილოთი, უნდა მივაქციოთ ყურადღება თვით მისი პატრონის და მომავლინებელის ზნე-ხასიათს.

თ. ილ. ჭავჭავაძემ ჯერ კიდევ მეორმოცდაათე წლების მიწურულში დაიმკვიდრა სახელი მეთაურობის და მედროშობისა. იმას იმ თავითვე ჰყავდა თავისი წრე, ანუ უკეთ ვთქვათ მგალობელთა გუნდი, რომელიც მუდამ უგალობდა, აციდებდა და აქებდა მის ნიჭს და აზროვნებას. ეს ის დრო იყო, როცა რუსეთში დაჰბერა ლიბერალურმა ქარმა ბატონყმობის გათავისუფლებისამ და ვინც უფრო მაგარ ლიბერალურ ფრაზას წამოისვრიდა, ან და ძალიან ლიბერალურ კილოზე ლექსს დაწერდა, ის იყო მედროშე, ის იყო ალმამფრენი, იმას ადიდებდნენ და ის დაჰყავდათ ხელით. მაშინ სახელმწიფო სამსახურშიაც და განვითარებული საზოგადოების თვალშიაც ლიბერალური ლექსების წერა, სენტიმენტალური თანაგრძნობის გამოცხადება გლეხებისადმი და მუშასადმი დაწინაურების ატესტატს აძლევდა ახალგაზდას ხელში, რადგან ამ დროს გლეხების გათავისუფლების დროშა თვით დიდმა რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ აათრიალა. ამიტომაც იმის თანამგრძნობელს ყველას კარი ჰქონდა გაღებული სახელმწიფო სამსახურში. ასეთმა ბედნიერმა გარემოებამ ცხოვრებაში ჩვენი პოეტი-მედროშეც გაალაღა, და მისი „მადა განდიდებისა" „ალფრთოვანდა". ამიერიდან მან შეითვისა აზროვნებაში შეუმცდარობის ფიქრი, მოკამათეთა უწყალოდ დევნა, ნამეტურ მას აქეთ, რაც იგი შეიქნა სადგილმამულო ბანკში მილიონების მატრიალებელი. რაც ხასიათი პატრონს დაჩემდა ერთნაირი გარემოების წყალობით, იგივე ხასიათი შეითვისა მისმა ორგანომ „ივერიამ", ესე იგი იმანაც აღიარა თავისი თავი შეუმცდარ რომის პაპათ. აი, აქედან აიხსნება ის განებივრებული კილო პოლემიკისა, ის გამედიდურებული სიამაყე და მაღლიდან ცქერა, ის უმართებულო, ყოველ ზნეობას, ზრდილობას და დარბაისლობას მოკლებული უშვერი ლანძღვა-გინება, რომლითაც ჰქეჯნის „ივერია" „კვალს" მის დაარსებიდანვე. ვის არ ახსოვს, რა უშვერი ლანძღვით და ჩაუკდებლობით ექცეოდნენ „ივერიის" „მეზურნეები" „კვალის" რედაქციას. ჯერ კიდევ არავის დავიწყნია 1894—95 წლებში ის გასაოცებელი ლანძღვა-თრევა, თ. ჟორდანიას მიერ მოძღვნილი, გ. წერეთლის შესახებ. მაგრამ განა ახლაც ამ გვარივე შეუსაბამო კილო არა აქვს მის თანამშრომლებს „ჩიორას", „ვარ...ს და სხვა „გახლავარებს" „კვალთან" პოლემიკაში? განა კეთილშობილურია ისეთი ქცევა ლიტერატურაში, რომ მობაასე ჩირგვში იმალებოდეს და იქიდან ილანძღებოდეს?.. განა ეს იმის უტყუარი საბუთი არ არის, რომ თვით მეპოლემისტეს რცხვენია თავისი უმართებულო კილოსი, თავისი სიმტყუნისა და პირბადე ჩამოფარებული უშვერათ ილანძღება, ათასნაირ ცილს გვწამებს, განზრახ ტყუის იმ იმედით, რომ იმას, „ივერიის" ფალასებში შემალულს, ვერავინ დაინახავს; ,,კვალს'' და მის თანამშრომელებს კი ტალახის გუნდებს ესვრის, იქნება მკითხველი საზოგადოების თვალში დავამციროთ და სახელი გავუტეხოთო. მაგრამ ნურას უკაცრავათ. ყოველი გამოსროლილი ტალახის გუნდი ისევ უკან უბრუნდება და თუ ფალასებში გამოხვეულს არა, ,,ივერიის'' და მის პატრონს მაინც შავ ლაქებს აცხებს. ჩვენ, რასაკვირველია, საქმე არ გვაქვს ვილაც პსევდონიმებთან, ჩვენ პასუხს მივცემთ პირდაპირ თვით ,,ივერიას'' და მის პატრონს, რადგან მათი უმართებულო პოლემისტები იმათ კალთას ქვეშ იმალებიან.

ამ წლის ,,ივერიის'' № 17-ში დაისტამბა ერთი გძელი ლანძღვა-გინებით შეზავებული ფელეტონი, მიმართული ,,კვალის'', გ. წერეთლის, ნ. ჟორდანიას და სხვების წინააღმდეგ. ამ სტატიის უმართებულო კილოს გასაცნობათ საკმაო იქნება მხოლოთ მისი სათაური და აფორიზმი მოვიყვანოთ:

,,ბაზრობა კვალისტების — რიხიანობა—ამპარტავნობა—ფანატიკოსობისა''.

„... ფალავან-ჰოტენტოტს, ესე იგი ველურს გმირს, აქებს ჰოტენტოტური, ესე იგი ველური საზოგადოება, კიტ კიტიჩ ბრუსკოვს ჰსურს, რომ გაღმამხრელი მოსკოვის შავი ხალხისგან იყოს მხოლოთ მოწონებული''.

(Атлета-готентота восхваляетъ готэнтотское общественное мнѣніе, Китъ Китычъ Брусковъ жаждетъ одобрѣнія замоскворѣчія).

ერთი ვნახოთ ასეთი უმართებულო კილოთი და რიხით ალჭურვილი ,,ივერიის'' მწერალი რას უკიჟინებს ,,კვალს'', გ. წერეთელს, ნ. ჟორდანიას და იმათ თანამგრძნობელებს.

,,ივერია'' გვწამებს ,,განდიდების სენით შეპყრობილობას'', ყოყოჩობას, ფანატიკოსობას. ამას გარდა ცალკე გ. წერეთელზე ამბობს: ,,თ. ჟორდანიამ უტყუარის ისტორიულისა და ლოღიკურის საბუთებით დაუმტკიცა ყოყოჩობა კრიტიკანს და მთელ მკითხველ სა-

ზოგადოებას დაანახვა ბ-ნ წერეთლის მიერ ჩვენის ისტორიის გასაოცარი უვიცობა. გაიმართლა თუ არა თავი (რაში?.. არ შეიძლებოდა, რომ გეცნობებინათ, ბ-ნო ცილისმწამებელო?..) ბ-ნ თ. ჟორდანიამ თავის მხრივ გაარჩია გ. წერეთლის ორიოდე ისტორიული წერილები... მერე რა? აღმოჩნდა, რომ თურმე გ. წერეთელი თითონ თავუკუღმა სწერს ისტორიას და ისეთი შეცთომაც კი მოსდის, [1]; როგორც შვილიშვილის გამეფება პაპის წინ“... მერე, ბატონო ცილისმწამებელო, განა ერის, ან კაცობრიობის ისტორიის ცოდნა მისი მეფეების ნომენკლატურის ცოდნას შეადგეს, ეგრეც რომ ყოფილიყო, როგორც თქვენ ბძანებთ? ვთქვათ, რომ თქვენცა და თქვენ მიერ დაფასებული თედო ჟორდანია მართლაც და მაგ აზრის ბძანდებით ისტორიაზე, მარა განა ეგ თქვენი აზრი კრიტერიუმია ისტორიისა? ესე იგი ისტორიის ცოდნის ზომათ უნდა მივიღოთ?.. ჯერ გვიბძანეთ, რა იყო საგანი ჩვენი ისტორიული ბაასისა და მერე დაამტკიცეთ, ვინ იყო მართალი და ვინ მტყუანი? ,,ივერიას“ ჩვეულებათ აქვს მხოლოთ იმისი დამტკიცება, რაც თვითონ მოუხდება. იგი კიდეც ჭრის ხოლმე და კიდეც კერავს; მაგრამ მარტო უმართლებულო კილო პოლემიკის და უსაბუთო დამტკიცებები ველარ გაიყვანს ფონს ვერც ,,ივერიას“ და ვერც მის პატრონს თ. ილ. ჭავჭავაძეს. განა სამართლიანია დაინტერესებულმა მხარემვე გადაჭრას სამართალი, ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი...

შეირყა ძველი ავტორიტეტობა. აზროვნების წმინდათაწმინდის ტაძარში უკვე წირავს ქურუმი, რომელსაც ხელი აქვს გასვრილი, ნდობა შებღალული და აღარც მაყურებლებს რწამსთ უსაბუთებოთ მისი ქადაგება.

როგორ?.. განა მართალი იყო, თ. ჟორდანია რომ ამტკიცებდა: საღვთოწერილი მეოთხე საუკუნეში ქართულათ ითარგმნა არაბული ენიდანო?

განა მართალი იყო, თ. ჟორდანია რომ ამტკიცებდა: გელათის ვედრებისა ღვთისმშობლის ხატზე მეთექვსმეტე საუკუნის იმერეთის მეფე ბაგრატ მესამეა დახატულიო?

განა ისიც მეცნიერული მოქმედება იყო, რომ თ. ჟორდანიამ ძვირფას შატბერდის ხელნაწერში მიწერილობანი მელნით გადაასწორა და ისტორიული დოკუმენტი შებღალა?

განა ისიც მართალი იყო, რომ თ. ჟორდანია ამტკიცებდა: ახლანდელი სიონისა და მცხეთის ტაძრები მეთერთმეტე საუკუნის გეგმებზე არიანო აშენებული?.. მაგრამ ან კი ვის ვეკითხები და რას ვეკითხები?.. ისეთ პირს უნდა შეეკითხო, ვისაც საგნის ცოდნა ეტყობა და აქ რაა?..

[1] „ივერიის“ მართლწერას ვტოვებთ ხელშეუხებლათ. რედ.

ახლა გადავიდეთ ნ. ჟორდანიაზე.

,,მარქსის თეორიაში ის მცოდნეაო“—ამტკიცებს ,,ივერია“... ,,დიახ ნოე ჟორდანიამ იცის მარქსის მოძღვრებაო“ და მხოლოთ მისი შეხედულობათ სჯის ყოველ საზოგადო მოვლენასაო. მერე და ეს გასაკიცხავია?.. მარქსის თეორიას ეკონომიური მატერიალიზმისას პოლიტიკო-ეკონომიურ მეცნიერებაში იგივე ადგილი უჭირავს, რაც დარვინის თეორიას ბუნებისმეცნიერებაში და ბიოლოღიაში. ეს არის უკანასკნელი მეცნიერული დასკვნა პოლიტიკო-ეკონომიაში და სოციოლოღიაში. ნოე ჟორდანია ამ შეხედულობით არკვევს დღევანდელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლინებებს. და, აი, თ. ილ. ჭავჭავაძე და მისი გაზეთი ,,ივერია“ ამას უწუნებენ ,,კვალის“ თანამშრომელს. მაშ, აბა, ის ემჯობინებოდა, რომ „თათქარიძისა და ოთარაანთ ქვრივის“ შეხედულობით გაერკვია მას ახლანდელი ცხოვრების მოვლინებანი ჩვენში?.. ეგ ხომ მართლაც თქვენებური, ძველებური ფეოდალური შეხედულება იქნებოდა?

,,ივერია“ აგრეთვე უკიჟინებს ნ. ჟორდანიას ტრაბახობას, ყოყოჩობას და ფანატიკოსობას. მაგრამ ეს თვისებები უფრო ,,ბაზრობის...“ ავტორს მოჰკითხეთ, რომელიც საოცარი რიხით და უმართებულობით მოგვძახის: ველურების ფალავანს მხოლოთ ველური საზოგადოება მოიწონებსო! (ცოტა ზდილობიანათ და გულდამშვიდებით ილაპარაკეთ, ყმაწვილო). რაიცა შეეხება ფანატიკოსობას, რომელსაც თქვენ ,,კვალის“ ახალ თანამშრომლებს აბრალებთ, ეგ ცარიელი სიტყვებია ხომ. ფაქტები, ბატონებო, ფაქტები გვიჩვენეთ, საბუთები წამოაყენეთ წინ; მაგრამ ვაი თუ ვერა. და ჩვენ კი, გნებავთ, ათასობით გიჩვენებთ თ. ილ. ჭავჭავაძისა და მისი ,,ივერიის“ მიერ ჩადენილ ფანატიკურ მოქმედებებს, როგორც სიტყვით, ისე საქმითაც. [1])

გ. წერეთელი.

[1] ჩვენ ამას არას მივუმატებთ. მხოლოთ ცილის მწამებელ ,,ივერიას“ და მის ,,ვარს“ მოვუწოდებთ საბუთით დაამტკიცოს ის, რომ ჩვენი წერილები ვითომ სხვისი წერილების განმეორება იყოს, როგორც ამას ეს ახალმოდის მკლავკაცე უსირცხვილოთ გაიძახის. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ გონებრივ სილატაკესთან ერთათ, ზნეობრივი სილატაკეც აშკარა იქნება.

ნ. ჟ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი სახიობა.

Იანვრის 29-ს სიმონიძის საბენეფისოთ დადგეს პირველათ ახალი ისტორიული პიესა კოსტანტინე ბატონიშვილი, ხუთ მოქმედებიანი დრამა, თხზულება ა. ყაზბეკისა. თეატრი თითქმის სავსე იყო. მობენეფისეს თანაგრძნობით მიეგება საზოგადოება, რამდენიმე საჩუქარიც მიართვეს.

პიესის შინაარსზე და მის შინაგან ღირსებაზე არას ვიტყვით, რადგან დრამა იყო გამოკლებით დადგმული. ჩვენ ვხედავდით სცენაზე მხოლოთ ცოცხალ სურათების გროვას ერთი მეორეზე ზედმიყოლით,—მეტს ვერაფერს. საზოგადოება კმაყოფილი დარჩა ამ წარმოდგენით, მხოლოთ აქა იქ გაისმოდა ლაპარაკი, რომ მსახიობნი მოუმზადებლათ თამაშობენო. მაგრამ თვით პიესის შინაარსი ისეთია, რომ, რაც უნდა მომზადებულიყვენ მსახიობნი, იმაზე უკეთ მაინც ვეღარ ითამაშებდენ. პიესამ ვერ მოგვცა ვერც დრამის ილლიუზია (ცხოვრების ბრძოლის წარმოდგინება), ვერც ტიპები დაგვიხასიათა; მხოლოთ ერთათ ერთი ცოცხალი ტიპი დავინახეთ სცენაზე,—ეს იყო მთიული (თუში, თუ ხევსური—სულ ერთია) გორჯასპირ (რომელსაც თამაშობდა შათირიშვილი). აქ ყაზბეგმა თავის ბუნებრივ ნიჭს არ უმტყუნა და ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ იმას ზედმიწევნით ცოდნია მთიულთა ცხოვრება.

საჭიროთ ვრაცხთ, დრამატულ კამიტეტს და სცენის მოწეს-რიგეებს, რეჟისორებს განვუმეოროთ რამდენიმე შენიშვნა: როცა ისტორიულ დრამებს დგმენ სცენაზე, ილლიუზიის მოსახდენათ ყველაზე უფრო საჭიროა გარეგან წვრიმალობას მიაქციონ დიდი ყურადღება, ესე იგი ისტორიული დრამის მოთამაშენი ნამდვილ ისტორიულ გარემოებაში უნდა ჩააყენონ. გაგონილა, რომ ქეთევან დედოფალს ქალთა ამალა, ესე იგი სეფე ქალთა გუნდი არ ჰყოლოდეს და ამას გარდა ორი ლამაზათ გამოწყობილი ყმაწვილი პირფარეშები (პაჟები) არ ხლებოდეს? ეფემია მესხს, თუმცა პირადი ღირსება და დარბაისლობა არ აკლდა, მაგრამ უამალოთ ის დედოფალს კი არა, უფრო აზნაურშვილის ცოლს მოგვაგონებდა. მარტო ერთი მეფური გვირგვინის თავზე ადგმა ხომ ვერ დაგვარწმუნებს, რომ ის დედოფალია? ამას გარდა უწინდელ დროში ქუდის მოხდა არ იყო ჩვეულებათ. აბა, თუ რომელსამე ძველ ტაძრებში კედლის მხატვრობაზე შეამჩნევთ, რომ ან ჯარს, ან მის წინამძღოლს ქუდი არ ეხუროს თავზე.

თვითონ ჯარის კაცებიც საკვირველ უზდელობას იჩენდენ ქეთევან დედოფლის წინაშე. ისინი მის წინ მიდიოდენ და თავსაც არ უკრავდენ დედოფალს. ქეთევანს სპარსეთის მეფე და მისი ამალა უფრო მოწიწებით ექცეოდა, ვიდრე საკუთარი ქვეშევრდომები. ერთი სიტყვით, ჩვენ მსახიობებს ეტყობოდათ სრული უცოდინარობა ძველებური დარბაზობისა და ამაში მსახიობები კი არა, უფრო დრამატული კამიტეტი და რეჟისორები არიან დამნაშავე.

არ შეგვიძლია არ მოვიხსენოთ ის შემთხვევაც, როცა შაჰ-აბაზმა დედოფალი ტახტზე მიიწვია, ტახტი ისეთი მაღალი გამოდგა, რომ საწყალ დედოფალს ფეხები ჰქონდა ჩამოშვერილი და ამის გამო დიდებული შესახედაობა სულ დაეკარგა. რა იქნებოდა, რომ ამ დროს დედოფლისთვის პატარა ხავერდის სკამი ტახტ წინ დაედგათ, რომ დედოფალს ფეხები ზედ დაედგა. ყველა ამ წვრიმალ შენიშვნებს იმიტომ ვწერთ, რომ მომავალში რეჟისორებმა მიიღონ ეს შენიშვნები მხედველობაში.

X.

ქართული სიტყვაკაზმული ლიტერატურა 1898 წელს.

(გაგრძელება. *)

Შემდეგ ივერიაში იწყება ვრცელი მოთხრობა „დღეობა“ დ. მაჩხანელისა. გლეხს სოსიას ერთი ვირის მეტი არა გააჩნდარა და ისიც დღეობისთვის გაჰყიდა. გლახა დღე დაადგა სოსიას, რადგან ვირის სამუშაო სულ მას დაატყდა თავს. გადაწყვიტა თავისი „მერცხალა“ გამოეყიდა, დაუდგა მყიდველს მუშათ, გაცივდა და მოკვდა. ჯავრმა მისი ცოლიც, საიქიოს გაისტუმრა და დარჩენ უპატრონოთ ობლები.

ავტორს მიზნათ ჰქონდა ეჩვენებინა, თუ რამდენათ საზარალოა დღესასწაულები სოფლის ხალხისათვის. ის მწერალი, რომელიც ცხოვრებას ხატავს, მხოლოთ ორი გზით მიაღწევს ამ მიზანს: ან უნდა დახატოს ისეთი მოვლენები, რომლებიც თავის თავათ ახასიათებენ ცხოვრებას, ან უნდა გაგვაცნოს სხვა-და-სხვა ხასიათები; ხასიათების მიხედვით მკითხველს შეუძლია თვით ცხოვრებაზედაც წარმოდგენა იქონიოს. დ. მაჩხანელს პირველი გზა აურჩევია: მან დაგვანახვა, როგორ ალარიბებს გლეხს დღესასწაული, მაგრამ მარტო ამ პატარა აზრის რვა ფელეტონათ გაჭიმვა დაკარგულ შრომათ მიგვაჩნია. როგორც ხელოვნური ნაწარმოები, მოთხრობა მეტათ სუსტია. მთელ პირველ ფელეტონში ავტორმა ერთი დიპლომიანი და მისი კნეინა გამოლანძღა, შემდეგ ვირი გაგვაცნო, რომელმაც დიპლომიანს ძილი დაუფთხო;

*) იხ. „კვალი“ № 2.

ეირი ბოლოს სოსიას „მერცხალა“ აღმოჩნდა, ავტორმაც დიპლომიანს თავი დაანება და სოსიას ამბავს მოგვიყვა. ეირს რომ ყროყინი არ გაება, ავტორს აღარც სოსია გაახსენდებოდა და დიპლომიანზე მოგვიყვებოდა რასმე; გამოაკლით ამას გარდა ავტორის რეზონიორობა, გლეხების საუბარი, რომელიც სრულიად უალაგოთ არის ორ ფელეტონში გაჭიმული და მოთხრობა ორ ფელეტონშიაც შეენიერათ მოთავსდებოდა. მოთხრობას ავტორი იღებს ქიზიყელთა ცხოვრებიდან. რუსული ანდაზა ამბობს: „მთელ სიცოცხლეს სწავლაში გაატარებ მაინც ბრიყვი მოკვდებიო“. ქვეყნიერებაზე ჯერ ძალიან ბევრი რამ არის აუხსნელი; რაც ახსნილია, იმისი სრულათ შესწავლაც ძნელია, რადგანაც სიცოცხლე მოკლეა, გონება სუსტი; ამიტომ რუსული ანდაზაც მართალია. მაგრამ ჩვენი საქართველო თითქოს იმდენათ პატარაა, რომ მისი სხვა-და-სხვა კუთხის დაახლოებით ცოდნა არ უნდა იყოს ძნელი; მიუხედავათ ამისა დახეთ ჩვენ უვიცობას! აბა, იცოდი, მკითხველო, თუ ბედნიერი არკადია ქიზიყში იყო? არკადიაში მწყემსი ვაჟები და ქალები ერთმანეთის სიყვარულში და ალერსში ატარებენ სიცოცხლეს; ქიზიყშიაც თურმე დახავსებული ბებრებიც ისე ესიყვარულებიან ერთმანეთს, როგორც ახალგაზდა დანიშნულები. ხან-და-ხან კი ჩხუბი მოუდისთ და მაშინ აღარ გვანან არკადიის მწყემსებს: ძაღლსა და ღორს უკვლენ ერთი მეორეს საფლავზე! შემდეგ ნანობენ, რათ ვაწყინეთ ერთმანეთსო, ტირიან, ბოლოს ჩაეკონებიან ერთმანეთს გულ-მკერდში და შერიგდებიან; თუ ქმარი მოკვდა, სიყვარული აღარც ცოლს აცოცხლებს,—ორ კვირაში გაუყენებს საიქიოს. ბ. დ. მაჩხანელს რომ არა, ხომ არ გვეცოდინებოდა, რა ყოფილან ეს ქიზიყელები!? აი, სოსია ორმოცდა თოთხმეტი წლის კაცია, სულ გათეთრებულია; მისი მარიამიც ორმოცდა ხუთის მაინც იქნება: ოცდა ათი წლის ჯვარ დაწერილები ყოფილან და თოთხმეტი წლისა აღარ იყო, რომ გათხოვდა?! ოცდა ათი წელიწადი! ხუმრობაა! მაგრამ ქიზიყში თურმე, რაც ხანში შედიან, უფრო ყმაწვილდებიან, ამიტომ სიყვარულიც უფრო უძლიერდებათ. მოხუცი, სოსია, მარიამის „მარწყვის ტუჩებთან ტუჩებს ადუღებს“, მარიამიც „ტკიბასავით ეკერის სოსიას გულში“. ქიზიყში თურმე როცა ქმარი წავა სადმე ორიოდე დღით, „მთვარესავით გაბადრული ცოლი დნება, ბროლ-ლალის ფერი ლოყები ყვითლათ უხმება, შავი ბრიალა ცეცხლივით გიზგიზა თვალები უქრება და სხვ. და სხვ. მაგრამ მოვა თუ არა ქმარი, ცოლი ჯერ ცრემლებს აურქვევს, შემდეგ ყელზე მოეხვევა და მალე ისევ მთვარესავით გაიესება და გაიბადრება. „ყმაწვილებს კი არა, მოხუცებსაც ასე ემართებათ! რა იდილლიაა! რა სანტიმენტალური ხასიათის ყოფილან ეს ქიზიყელები! დალოცვილ ღმერთს, რა უნდოდა, მთელი ქვეყანა ქიზიყათ გადაექცია; მთელი ქვეყანა თუ არა, მთელი საქართველო მაინც! ახ, რა ბედნიერი ვიქნებოდით მაშინ! თუ არ გჯერათ, მოისმინეთ პატარა ხანს ოცდა ათი წლის ჯვარდაწერილი მარიამისა და მისი ბებერი სოსიას მუსაიფი—„აგრე სიყვარულით გიელი და გიფრთხილდები ყოველთვინ, როგორც გასათხოვარი ქალი თავის სანუგეშო სილამაზეს უელის, აკეკლუცებს და უფთხილდება თავის თვალის ჩინიით, ეუბნება სოსიას მარიამი,—შენ რო შეუძლოთ გახდები ხოლმე, მე მოწყვეტილ იასავითა ეჭკნები, მთვარესავით ვილევი, სანთელივით ვიწვები, გაზაფხულის ღრუბელსავით ცრემლით ვიღვრები“ და სხვ. არა, ასეთი სიყვარული ხომ არკადიაშიაც არ არსებობდა! ასეთი ლაპარაკი ვინღა შეასწავლა ამ დალოცვილ ქიზიყელებს? იქნება ქართული ენის აკადემიაც იყოს ქიზიყში? წარმოიდგინეთ, ვირებიც კი არაჩვეულებრივი ყოფილან ქიზიყში: თუ პატრონი მოუკვდათ, ტირიან, აღარც ჭამენ და აღარც სვამენ! ან კი რა გასაკვირველია; შავი თეთრთან დააბი, ან ზნეს იცვლის ან ფერსაო: ასეთი ქიზიყელების ხელში ვირებიც რომ დაბრძენებულიყვენ, ადვილი შესაძლებელია ყოველსავე ამას შემდეგ ცხადია, რა ღირსებისაც არის მოთხრობა და ავტორის ნიჭი. ბ. დ. მაჩხანელმა ასეთის მოთხრობებისაგან ამ წელს მაინც დაგვიფაროს. თუ იმას შეეხვეთ, ეს იმიტომ რომ ახალგაზდა მწერლები გაგვეფრთხილებია, როგორ არ უნდა წერონ და ერთი გარემოება აღგვენიშნა: მიუხედავათ იმისა, რომ მოთხრობა მეტათ სუსტია, მასშიაც შეამჩნევს მკითხველი, რომ ქიყიზის სოფლის ძველი ცხოვრება იშლება; სოსია ნახევარჯერ დღიურ მუშათ უდგია მდიდარ გლეხებს და ამით ირჩენს თავს. სოფელი ვაჭარ-კარაპეტებს, გამდიდრებულ გლეხებს, მამასახლისს ჩაუგდიათ ხელში და გლეხებს ტყავს აძრობენ. ვთქვათ, დეპომ კარაპეტები აბარგა; მაგრამ ადგილობრივ მდიდარ გლეხებს რაღას უზამს, როცა ისინი კარაპეტებზე უკეთესი თუ, თვარა ნაკლები აღარ არიან? „ჩვენი შეძლებული გლეხკაცისთანა ღარიბი ადამიანის შეუბრალებელი, დამხრჩობი და ამოსაწყვეტი ქვაწვია ურია ენგიდუნიაზედაც არ იქნებაო“, ამბობს მათ შესახებ სოსია.

ივ. გომართელი.

(შემდეგი იქნება)

პირიმზე

რომანი

ნაწილი I.

ბატონ-ყმობის დრო.

III.

(გაგრძელება) *)

ანასტასიას ჰყავდა ერთი მოხუცებული გამდელი, რომელთანაც ყველა მოკრძალებით იყო ოჯახში. ის იყო სამოცდაათი წლის მოხუცი. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა მის გაზრდილ ქალბატონს ბოლოს შვილი გაუჩნდა. ამ მოხუცებულს ყველა „გადიას" ეძახოდა. ის სრულიად დაეპატრონა გრიტიას და დაუწყო ზრდა. ეს მოხუცებული დედა-კაცი ჯერ კიდევ მხნეთ იყო. ურიგო საქმეს ახირებულათ ოჯახში მოსამსახურე გოგო-ბიჭებს არ აბედვინებდა. ფარეშებს და მზარეულებს მისი ძალიან ეშინოდათ. იმას მოხუცებულობაში კბილები ხელმეორეთ ამოუვიდა. ამ ამბავმა ძალიან დააშინა მოსამსახურეები. მალე ხმა გავარდა, რომ ბატონის გამდელი კუდიანი არისო „თუ არ კუდიანს, საბერეში სხვას ვის ამოუვა კბილებიო — ჩურჩულებდენ გოგოები და შინაყმები. ანასტასიას გამდლის ფერმკრთალ და დაჭმუჭნილს სახეს პატარა მოელვარე თვალები ბევრს სიცოცხლეს აძლევდა. როცა გააჯავრებდენ, მაშინ მაინც მეტათ უმატებდა თვალების ბრიალს. იმას მუდამ შავები ეცვა. წელში მოხრილი გამდელი ხშირათ დადიოდა ლამ-ლამობით სამზარეულოსა და ოდას შუა ან გრიტიას საჭმლისთვის, ან თავის გაზდილის ბრძანებით. იმან ისე ჩუმათ იცოდა სიარული, რომ გეგონებოდა, მიწაზე ფეხს არ აკარებსო. სალამოთი, როცა გამდელი სამზარეულოში მიდიოდა ხოლმე, რომ ვისმე დაენახა, ასე იტყოდა: ეს შავი სუდარა ლამურასავით რომ მოფრინავს, ნეტა რაუნდა იყოსო? მოახლეებს და ბიჭებს მაინც ძალიან ეშინოდათ იმისი, ნამეტნავათ სალამოობით ცდილობდენ წინ არ შეხვედროდენ და თუ ვინიცობაა შეხვდებოდენ, მაშინვე პირჯვარს გამოისახავდენ, სამჯერ გადააფურთხებდენ პარცხნით და წაიბუტბუტებდენ: „არული კუდიანებსა, ჯვარი აქაურობასაო". მოსამსახურეებში გამდლის კუდიანობაზე ჩუმათ ბევრი მითქმა-მოთქმა იყო, მაგრამ ხმა-მაღლა ჭორს მაზე ვერავინ ბედავდა, რადგან ანასტასიას ძალიან უყვარდა თავისი გამდელი, ნამეტურ მას შემდეგ, როცა მან თავგანწირულათ დაუწყო პაწია გრიტოს მოვლა. ის რომ უფრო შეჩვეოდა მოხუცებულ გადიას, ტკბილ საჭმელებს არ გამოილევდა ჯიბეში. ამის გამო გრიტოც ძალიან მიესაკუთრა თავის დედის გამდელს. ხან-და-ხან მოხუცებულ გამდელს ჩვეულება ჰქონდა, მეზობლებისკენ გასეირნება. როცა გადია უკან დაბრუნდებოდა, გრიტო ჯერ კიდევ შორიდან მოატანდა თვალს და მაშინვე გაეშურებოდა იმისკენ ძახილით: „გადია მოვიდა, გადიაო"! გამდელიც დიდის ამბით მიეგებებოდა თავის გაზდილს, აიყვანდა ხელში, გაჰკოცნიდა და ჰკითხავდა: „ხომ არავის აუტირებიხარო"? გრიტო დიდის ალერსით შეცქეროდა ხოლმე გადიას თვალებში და თუ იმას დაავიწყდებოდა ჯიბეში ხელის ჩაყოფა, თვითონ გრიტო გაიშვერდა გადიის ჯიბისაკენ ხელს და მოჰყვებოდა კრუსუნს: „მომე, მომე, მომეო"!

გრიტო ორ წლამდის უფრო თავისებურათ ატარებდა დროებას. ის შეეჩვია ბუხარში ნაცრის ქექას. ხელში ერთი პატარა ჯოხი ეჭირა ხოლმე და გაჯავრებით ცემდა ნაცარს, რომ იმის აზრით ჰაერში ადენილი ნაცარ-ტუტა ისევ ძირს ჩამოელაგებინა, მაგრამ რაც უფრო გამწარებით ცემდა, ისე უფრო ბევრი მტვერი ადიოდა ჰაერში და ჩამოსვლით კი არ ჩამოდიოდა. ეს გარემოება გრიტოს გააჯავრებდა ხოლმე. ის კიდევ უფრო მოუჩქარებდა ცემას და სულ მტვერში ამოიგანგლებოდა. როცა პირში და ცხვირში შეყრილი მტვერი ბოლოს იმასვე შეაწუხებდა, მერე მორთავდა ტირილს. ამდროს ხან დედა, ხან გამდელი — ეს იმაზე იყო დამოკიდებული, ვინ უფრო ადრე გაიგებდა ბოვშის ტირილს, — მივარდებოდა და გამოიყვანდა ბუხრიდან ნაცარში ამოსვრილ გრიტოს.

ერთხელ გრიტო იჯდა ბუხრის წინ და იყო გართული თავის ჩვეულებრივ საქმეში, ფეხები ნაცარში ჩაეყო და ერთი ალაგიდან მეორეზე გადაჰქონდა ნახშირები. ყმაწვილს დიდი წყნარი თვალები სიამოვნებით მიეპყრო ნახშირებისთვის, რომელთაც წკეპლით როზგავდა და ისინიც ხტომითართობდენ გრიტოს გონებას. ბოვშს პაწაწა ქედა-ტუჩი ლამაზათ ჩამოვარდნოდა, ცხვირის ნესტოები ხან უდიდდებოდა, ხან უპატარავდებოდა. მისი ყურადღება ერთმა პაწია ნახშირმა მიიქცია, რომელსაც ჯოხით აგდებდა, მაგრამ რომ ვერ მოახერხა მისი გადაგდება, მერე ხელი წაავლო, ჩაიდვა პირში და შაქარივით კვრეხა დაუწყო, თითქოს ნახშირი დასაჯა გაუგონრობისათვის. არ ვიცი, რა გემო ნახა მან ამ ნახშირში, მაგრამ ამას შემდეგ ვერას გზით ველარ მოაშლევინეს ნახშირის ჭამა. ბოლოს დედამ ერთი ღონისძიება იხმარა. როცა გრიტო ნაცარში იჯდა, წინ დაუდვა ძალიან ცხელი ნახშირი, რომელიც, ის იყო, გაექრო. გრიტომ წაავლო ხელი მას და პირში იტაკა. ნახშირმა პირი დაწვა და გრიტომ მორთო წივილი. მას აქეთ თუმცა ნაცარქექიაობა სამ წლამდის ვერ მოაშლევინეს, მაგრამ ნახშირს მაინც ხელს აღარ ჰკიდებდა. ანასტასიას ერთი პატარა ექვსი წლის გოგო ჰყავდა გრიტოს საამხანაგოთ, სამი წლით მაზე უფროსი. ამ გოგოს ერქვა მარინე. სხვათაშორის ქალბატონი მას ხელზე სამსახურსაც ასწავლიდა. ეს გოგო მუდამ ფეხშიშველა და თმა-გაბურძგნული დადიოდა. დაფლეთილ-დახეული კაბის ჩაქები მუდამ შალტებათ ჰქონდა წელზე ჩამოკიდებული. როცა ქალბატონს პირს დაბანიებდა, ხშირათ გავსებულ ტაშტს კი არ გადაღვრიდა, სადმე ოთახის კუთხეში მიდგამდა. გრიტო ერთხელ წაატყდა წუმპე წყლით გავსებულ ტაშტს და გაიხარა. იმან მაშინვე წარმოიდგინა: „დედა თუ პირს იბანს, მე რატო ვერ დავიბანო". იქვე

*) იხ. „კვალი" № 4.

მიუჯდა წუმპე წყლით გავსებულ ტაშტს, ჩაჰყო ხელები და დაიწყო ჭყუმპალი; მერე პირზედაც შეისხა. ბოლოს ისე გაიწკუმპლა, რომ წყალში ამოვლებულ წიწილას დაემგზავსა.

„აჰ, აჰ!.. რას შვრები, შე საძაგელო! გიტო, ეგ რა ამბავია?—შეუძახა მეორე ოთახიდან შემოსულმა დედამ, მივარდა და მწვირიან წყალში ამოწკუმპლული გიტო აქეთ გამოათრია. „მარინე, მარინე“!..—დაუყვირა გოგოს, რომელმაც, რაკი იგრძნო კარგი არა დაემართებოდაო, მწუხარებით გააგონა: „ბატონო“!—ჰა, შე უკმეხო, რატომ დატოვე ეს ტაშტი, რომ არ გადაგიქცევია!.. მოდი ახლავე აქ, შე მძინარა, ზარმაცო“?—მიწვდა მკლავზე ანასტასია და ისეთი უჩქმიტა, რომ გოგომ უნებურათ დაიკივლა.

ხშირათ მოხდებოდა ხოლმე, რომ გიტოს თავით ფეხამდის ტალახში ამოსვრილს გაბანდენ, მაგრამ ნახევარ საათს შემდეგ ისევ მწვირის ღელე ჩაწიწკინლებდა. ცოტათ რომ მოიზარდა, ასე ხუთი წლის რომ შეიქნა, გიტო ძალიან დაუმეგობრდა მარინეს, რომელიც მუდამ თან დადევდა ბატონიშვილს ეზოში. თუ კარგი ამიდი იყო, მთელი დღე არც ერთი შინ არ შემოიხედავდენ. როცა სადმე წუმპე წყალს ნახავდენ, გიტოს, თითქმის აღდგომა გათენებოდეს. ის მაშინვე უბრძანებდა მარინეს, ტალახის ზელა დაეწყო. თვითონ გიტო ხუროთ-მოძღვრებას დაიჩემებდა და მიაჰყვებოდა პატარა კენჭებით სახლის შენებას. ახლა მარინეს სხვა მასალაზე გაგზავნიდა. რაც შეიძლებოდა, ბევრი ჩხირები უნდა მოეგროვებინა, რომ ახალი აშენებული სასახლისთვის საეზოვე შემოეღობათ. მერე შიგ ბოსტნის კეთებას მოჰყვებოდენ.

გიტო დიდხანს ვერ შეეჩვია ფეხსაცმელს. თორევაზი როცა ქალაქში წავიდოდა ხოლმე, იქიდან შეუძლებელი იყო, რომ თავის ქალიშვილისთვის რამე ახალი არ ეყიდა. გიტოს ძალიან უყვარდა წითელი, ან ყვითელი „ფაჩიჩები“. როცა მამა მოუტანდა, მაშინვე აუტყდებოდა დედას: „ჩამაცვი, ჩამაცვიო“. მაგრამ ორი დღის მეტს არ ყოფნიდა ხოლმე. რაკი მოიხალისებდა, მერე ველარავინ მიაკარებდა ფეხსაცმელს. გიტო ჩაიცვამდა თუ არა ახალ ფაჩიჩებს, მაშინვე კარში გავარდებოდა მალე ამოსვრიდა ტალახში და რაკი ერთხელვე ფერი წაუვიდოდა ფაჩიჩებს, ის იყო და ის. ფეხზე ველარავინ მიაკარებდა.

ერთხელ გიტო და მარინე ოდის წინ ორმოს თხრიდენ. ზევით ოდაში სანათურთან ანასტასია იჯდა, რაღაცას კერავდა და დრო-გამოშვებით იქიდან თვალს ადევნებდა ძირს თავის დაუცხრომელს გოგონას. ბოვშებმა ორმო რომ მოთხარეს, მერე გიტომ უთხრა მარინეს, წყლით გავამსოთო. მაგრამ ის კი აღარ იცოდენ, წყალი რითი უნდა მოეტანათ. ჭურჭელი ვერსად იშოვეს. გიტოს ბევრი აღარ უფიქრია, გაიძრო ცალფეხზე ახალთ-ახალი ფაჩიჩი და იქვე მახლობელ ჭენჭყოდან დაუწყო მითი წყალს ზიდვა და ახალ ამოთხრილ ორმოში სხმა. ამ დროს ანასტასიამ ოდიდან გადმოიხედა და, რომ შენიშნა, გიტოს თავისი წითელი ფეხსაცმელი წყლის ჭურჭლათ გაეხადა, დაუწყო წყრომა: —ჰა, ჰა, შე გლახა გომბიო!.. რას შვრები მაგას, შე ბინძურო, მურტალო!.. ახლავე გადააქციე წყალი ფაჩიჩიდან, თვარა მოგკალი, ეს არის!.. გიტო ნუ მომიკვდება, ცხვირპირს დაგინაყავ შე, მურიანო შენ!..—შეძახა ანასტასიამ თავის პატარა ქალს.—წადი ახლავე წაუღე გადიას ეგ გასვრილი ფაჩიჩები, თვარა გაგლახამ!..

გიტო ძალიან უარზე იდგა. ისე იყო თავის მუშაობაში გართული, რომ სანამდის ორმოს არ გაავსებდა, მანამდის რომ კიდეც ვისმე მოეკლა, თავის დანებებას არ აპირებდა და შორიდან უძახოდა დედას: „ალა, ალ წავალ, ალ მინდა, ალა!.. ბოლოს რომ ბძანებით ველარა გააწყორა, ანასტასიამ გადაძახა მარინეს: „აქ მომგვარე ეგ საძაგელიო“. თუმცა მარინე ბევრათ უდიდესი იყო გიტოზე, მარა რაკი იმან თავის მეგობარს ვერაგობა შენიშნა, მაშინვე თმაში ეცა მარინეს და შეიქნა მათ შორის მიწევ-მოწევა. ანასტასიამ ასეთი უკმეხობა ველარ მოუთმინა თავის ქალიშვილს, გამოუვარდა გარეთ, ჩამოვიდა საჩქაროთ კიბეზე, სტაცა ხელი თავის ურჩ ქალს, მიტყეპა და ამოათრია კიბეზე.

გ. წერეთელი.

(შემდეგი იქნება)

უცხო სიტყვების ახსნა.

პრესსა—ჟურნალ-გაზეთები. სფერა—სიმრგვლე, გარემოება, წრე. სოციალური—საზოგადოებრივი. სანტიმენტალური—გრძნობაზე აშენებული. რეზონიორობა—გაცვეთილი აზრების ღეჭვა. მიტინგი—ყრილობა. რადიკალი—ძირითადი ცვლილების მიმდევარი. კონსტიტუცია—სათემო მართვა. თეორია—მოვლენათა ახსნელი აზროვნება. პრაქტიკა—გამოცდილებითი მოქმედება. ტრადუნიონი—მუშათა კავშირი. პროცენტი—სარგებელი. პროლეტარი—ბოგანო, უსაკუთრებო მუშა. ნაციონალური—ეროვნული. მანიფესტაცია—ქვეყნის საჭიროების გამოთქმა, გამოაშკარება. კრიტერიუმი—ყოველგვარი მსჯელობის საზომი.

განცხადება

ე. ტ. მერგასოვისაგან:

მივიღეთ დიდი ზომით ცნობილი ფირმებისაგან გამოგზავნილი

საუკეთესო აბრეშუმის თესლი,

პასტერის სისტემაზე დაკვეთილი ჩვენგან: ფრანციული, იტალიური და ბაღდათური. ვისაც სურს შეიძინოს ეს აბრეშუმის თესლი, მან უნდა მიმართოს: ქუთაისში, ადვოკატის ქუჩაზე, აკოფოვის სახლში, მერგასოვის ბინაზე და მმართველს არტემ ანჯაფარიძეს; სოფელ ჩხენისში, ნიკო გლახუას ძე ბრელიძეს თავის საკუთარ სახლში; სამტრედიაში, სპირიდონ მელქაძეს; აბაშაში ალექსანდრე ანჯაფარიძეს.

არის გასაყიდი ბჟოლის თესლები და ნერგები

ე. ტ. მერგასოვისა.

(2—1)

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

Доз. ценз. Тифлисъ, 30 Января 1899 г. Тип. М. Д. Ротиніянца—სტამბა მ. დ. როტინიანცისა Гол. пр. д. № 14.